# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 9 მაისი, 2012 წელი.

№86 (6963)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# ეს გამარჯვება ქართველებმაც გამოვჭედეთ!

## უმაღლესი მთავარსარდლიდან – რიგით ჯარისკაცამდე

„და თუ სტალინმა მიკითხოს, უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი“...

**დიახ, სწორედაც რომ დიდი სამამულო!**





ცაიშიდან ცაში აფრენილი და ციდან ცაისში გმირად დაბრუნებული... ⑥



⑤-⑦

## ომის უკანასკნელი დღე

## გაფრენილ სიტყვას ვერ დააბრუნებ

**ბოლო დროს სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები ერთიან სააზროვნო კომპლექსში რომ ვერ ეტეოდა, ეს ფაქტი იყო. იგი ცდილობდა ეთქვა რაღაც განსაკუთრებული და, როგორც იქნა, ქუთაისში სტუმრობის დროს გვითხრა ის, რასაც თითოეული ჩვენგანი „ვეჭვობდით“, მან თქვა, რომ ხელისუფლებაში მუდმივად დარჩენის სურვილი აქვს.**

# 2-3-4 წლის საბოლოო მიზანი



**„დამაცადეთ კიდევ 2-3-4 წელი“ – მ. სააკაშვილი, 2012 წელი**

„დამაცადეთ კიდევ 2,3,4 წელი და გაძლევთ გარანტიას, რომ წყალტუბოს ევროპაში ყველაზე მაგარ ადგილად ვაქცევ“.

აქვე მან თქვა, რომ „ქვეყანაში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც ემსახურებიან მტერს და, რომ მათ მთელი თავისი საქმიანობა იმპერიის დროშის ფერებში აქვთ გადაწყვეტილი“. თითქოს სრული პროპაგანდისტული პაკეტი შეკრულია, მაგრამ რაღაც უკმარისობის განცდას ტოვებდა და აი შემდეგი „შედევრიც“, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ილუზორულად იყო, ჩვენ გულზეც უნდა დავიდოთ ხელი (გულწრფელობას ითხოვსძ და დავეთანხმოთ.

**„მადროვეთ 2,3,4 წელი – ჰოსნი მუბარაქი“, 1987 წელი**

2-3-4 წელი და წყალტუბო არაფერ კავშირშია ერთმანეთთან, მან თქვა სათქმელი. სიტყვა „დამაცადეთ“-ს აუცილებლობა გააჩინა პოლიტიკური ალტერნატივის არსებობამ ქვეყანაში, სხვა შემთხვევაში იტყოდა კიდევ რამდენიმე წელი გვჭირდება და საზოგადოებას, რომელსაც ირიბი „თანხმობა“ სთხოვა ხელისუფლებაში დარჩენისათვის, ფაქტის წინაშე დააყენებდა.

კაიროს უნივერსიტეტში სტუმრობისას 1987 წელს ეგვიპტის იმდროინდელმა ხელისუფალმა ჰოსნი მუბარაქმა ასეთი სიტყვები თქვა: „ჩვენ გვჭირდება 2-3-4 წელი და პირობას გაძლევთ უსაფრთხო ქვეყანაში იცხოვრებთ, მომეცით ეს დრო“. მას ადროვა ეგვიპტელმა ხალხმა და იგი ეგვიპტეს მართავდა 1981 წლიდან 2011 წლამდე.

**იდეათა არარეალური თანამიმდევრობა**

„ნაციონალური მოძრაობა“ ამბობს, რომ მისი მთავარი მიზანია ქვეყანაში უზრუნველყოს სამართლიანი და ობიექტური არჩევნები. არჩევნების იდეა კი გულისხმობს, მასში მონაწილე სუბიექტების მხრიდან ერთმანეთის თანასწორუფლებიანად აღიარებას. როცა ხელისუფლება ამბობს, რომ ძალაუფლებას ედავება ქვეყნის მტრების მიერ მართული ძალები, ეს ასევე გულისხმობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გააყალბებს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ცვლილებებს ელის, ისინი წინასწარ ადგენენ არჩევნების შემზღუდველ წესებს, რომლის პირობა შემდეგია – არჩევნები არ შეცვლის ხელისუფლებას.

**აფხაზეთის არარსებობის საკითხი**

სააკაშვილის განცხადების შინაარსი, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი ილუზორულად იყო, გულისხმობს იმას, რომ აფხაზეთი ჩვენი მეხსიერებიდან გააქროს და აი, რატომ: ხელისუფლება ითხოვს უვადო ძალაუფლებას, ქვეყნის შიგნით არის ოპოზიცია, რომელიც უკვე ნახევარ მილიონამდე დევნილის პრობლემას შეახსენებს და გმობს მის პოლიტიკას (თუ შეიძლება ამას პოლიტიკა ეწოდოსძ კონფლიქტებთან მიმართებაში. ეს ეროვნული მნიშვნელობის საკითხია და სააკაშვილს „უვადო მანდატის“ მიღებაში უშლის ხელს. ამიტომ, მან თქვა, რომ ბრალი არ აქვს ამ კუთხით, რომ აფხაზეთი არ არსებობდა და არც არსებობს, მან სცადა გაექრო პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლიდან პროპაგანდის ძირითადი შინაარსი კონფლიქტების საკითხების გადაჭრა იყო. პროპაგანდის მთავარი ფიგურა კი იყო ლიდერი და პარტია, რომელიც ქმნიდა რეზერვს, პატრიოტს, ჯარს და თითქმის, ყოველი წლის ბოლოს ქვეყნის გაერთიანებას გვპირდებოდა.

დღეს იგივე პროპაგანდას დაჭირდა კიდევ ერთხელ იძალადოს მოქალაქეების აზროვნებაზე და დაარწმუნოს იმაში, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას არც ისეთი დიდი მნიშვნელობისა აქვს, ჩვენ რომ გვგონია.

**2-3-4 წლის საბოლოო მიზანი**

რთულია წარმოიდგინო როგორ შეიძლება ხელისუფლებაში ადამიანთა ერთი ჯგუფი იყოს იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მაგალითად, ჰოსნი მუბარაქის (1981-2011ძ მთავრობა. შეიძლება და ამის მაგალითი უამრავია ჩვენს გარშემო. თუ ვადროვებთ 2-3-4 წელს, პირობითად წყალტუბოს „აყვავებისთვის“, შემდეგ 5-6-7 წელს სხვა მიზეზით მოითხოვს და ამ წლებში მოახერხებს მოქალაქეების აზროვნების დამახინჯებას და შემდეგ, მე-8, მე-9 და შესაბამისად მეათესაც ზედმეტი თავისტკივილის გარეშე მიიღებს. ჩვენი აზროვნების დამახინჯება არის ამ 2-3-4 წლის მიზანი. როგორც ჩანს, ზუსტად ეს დროა საჭირო იმისათვის, რომ ობიექტური მართლმსაჯულება და კუბლაშვილი, პატიმართა უფლებები და კალმახელიძე, დამოუკიდებელი მედია და ტელეკომპანია „იმედი“ სინონიმები გვეგონოს.

**სულხან ღლონტი**

**P. S. როცა იცი სიმართლე და ისმენ ტყუილს, ეს გართობს, რადგან ერთდროულად მცოდნეც ხარ და მოტყუებულიც. საბოლოო შედეგით, დროც დაკარგული გაქვს და მოტყუებულიც ხარ. ეს არის პროპაგანდა – იცოდე სიმართლე, მაგრამ ერთობოდე ტყუილით.**

**ს. ღ.**

## ინფორმაცია

### „ქართული ოცნების“ ფოთის შტაბის ხელმძღვანელი ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან თვალთვალზე საუბრობს

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ფოთის შტაბის ხელმძღვანელი ფრიდონ კვარაცხელია ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან მუდმივ თვალთვალზე საუბრობს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ფოთიდან იუწყება, კვარაცხელია ამ ფაქტს 9 მაისისთვის ფოთში დაგეგმილ ირაკლი ალასანიას შეხვედრებს უკავშირებს.**

**„დევნილების ახალ რაიონში, გუშინწინ ხალხს ვხვდებოდით, ჩვენს ირგვლივ მუდმივად გადაადგილდებოდა დაბურულმინებიანი „ტოიოტას“ მარკის ჯიპი, რომელშიც, სავარაუდოდ, კუდის თანამშრომლები ისხდნენ. 9 მაისს დაგეგმილია ირაკლი ალასანიას შეხვედრა ახალ რაიონში, გუშინ კი ამ ტერიტორიაზე შეიარაღებული ჯარისკაცები გადაადგილდებოდნენ და ამას ყველა ხედავდა. ადვილი მისახვედრია, რომ ეს ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდება ხალხის დასაშინებლად“, – განაცხადა ფრიდონ კვარაცხელიამ.**

**კოალიციის ფოთის შტაბის ხელმძღვანელის განცხადებით, რამდენიმე დღის წინათ იყო სატელეფონო მუქარაც.**

**„ზუგდიდში 4 მაისს, როცა ირაკლი ალასანიასთან შეხვედრაზე მივდიოდით, ჩემს მობილურ ტელეფონზე უცხო ნომრიდან განხორციელდა სატელეფონო ზარი და დამემუქრნენ, რომ თუ იქ წავიდოდი, ფეხებს დამამტვრევდნენ. მას შემდეგ ის ნომერი გათიშულია“, – აცხადებს კვარაცხელია.**

## ინფორმაცია

### გიორგი გუგავა: საზღვრის დაცვის პოლიციამ შალვა ნათელაშვილი შავ სიაში შეიყვანა

ლეიბორისტები ხელისუფლებას პარტიის ლიდერის მიმართ რეპრესიების გატარებაში ადანაშაულებენ.

როგორც „ლეიბორისტების“ პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ტერორისტულმა ხელისუფლებამ“ პარტიის თავმჯდომარეზე ზეწოლის ახალ ხერხს მიაგნო. კერძოდ, მისი თქმით, შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის საიდუმლო ბრძანების საფუძველზე, საზღვრის დაცვის პოლიციას შალვა ნათელაშვილი შეყვანილი ჰყავს სპეციალურ ცირკულარში, ე.წ. შავ სიაში. შედეგად კი, საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში, ნათელაშვილი სპეციალური საშუალებების გამოყენებით ჩხრეკას ექვემდებარება. „ამჯერად, ამ ფაქტის დამადასტურებელი მასალა ლაგოდეხის პოლიციის სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან გამოაქვეყნა კახეთის საინფორმაციო ცენტრმა“, – აღნიშნა გუგავამ.

როგორც გუგავა აცხადებს, ვიზიტებიდან დაბრუნებისას შალვა ნათლაშვილი უკვე არაერთხელ გაჩხრიკეს.

„ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ მერაბიშვილისაგან, გამოაქვეყნოს სრულად საიდუმლო ბრძანებულება, რის საფუძველზეც შალვა ნათელაშვილის გაჩერება და ჩხრეკა ხდება“, – აცხადებენ „ლეიბორისტები“.




### საქართველოში უძრავი ქონების მფლობელ უცხოელებს და ინვესტორებს მუდმივი ბინადრობის ნებართვა ექნებათ

შესაბამისი ცვლილება „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში შედის.

კანონპროექტის მიხედვით დგინდება, რომ სხვადასხვა კატეგორიებთან ერთად, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვა შეიძლება მიეცეს უცხოელს, რომელიც საქართველოში საკუთრების უფლებით ფლობს არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობის უძრავ ქონებას და უცხოელს, რომელიც საქართველოში განახორციელებს არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობის ინვესტიციას.

ამ შემთხვევებში, მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელის ოჯახის წევრებზეც – მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილებზე ან/და მის სრულ კმაყოფაზე მყოფი ქმედუუნარო ან შრომისუუნარო პირებზე.

ოჯახის სხვა წევრებზე კი – მშობელზე, შვილიშვილზე, მშვილებელზე და სხვა, მუდმივი ბინადრობის ნებართვა იმ შემთხვევაში გაიცემა, თუ პირი დამატებით 10 000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს.

ამასთან, ამავე პროექტის მიხედვით, მთავრობას შეეძლება ინვესტორ უცხოელებზე მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემისთვის, დამატებითი პირობები, საქმისწარმოების განსხვავებული წესი და ვადები განსაზღვროს.

### ინდივიდუალური გამრიცხველიანება კიდევ 12 სოფელში დასრულდა

„ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ინდივიდუალური გამრიცხველიანება კიდევ 12 სოფელში დაასრულა.

კომპანიის ინფორმაციით, თანამედროვე ევროსტანდარტების შესაბამისი მრიცხველები დამონტაჟდა ტყიბულის რაიონის სოფელ ქვედა ჩგეფში (81 აბონენტიძ, ცაგერ-ლენტეხის რაიონის სოფელ გვიმბრალაში (47 აბონენტიძ, ხონის რაიონის სოფელ ნახხულევში (292 აბონენტიძ, სამტრედიის რაიონის სოფელ ჩაგანში (197 აბონენტიძ, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალი ხახათში (402 აბონენტიძ, ასპინძის რაიონის სოფელ ნიჩბორში (106 აბონენტიძ, ბორჯომის რაიონის სოფელ ზანავში (137 აბონენტიძ, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბანში (556 აბონენტიძ, ოზურგეთის რაიონის სოფელ გურიანთაში (626 აბონენტიძ, ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში (118 აბონენტიძ, ახალციხის რაიონის სოფელ ხევაშინში (90 აბონენტიძ, ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევში (312 აბონენტიძ.

საერთო ჯამში გამრიცხველიანდა 2 964 აბონენტი. აღნიშნული პროექტის ინვესტიციამ 889 200 ლარი შეადგინა.

როგორც „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ აღნიშნავენ, გამრიცხველიანებასთან ერთად აქტიურად მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოებიც.

### ლაშა თორდია პატიმარი ქალებისთვის დამატებითი უფლებების მინიჭების ინიციატივით გამოდის

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ლაშა თორდიამ საკანონმდებლო ორგანოში უკვე შეიტანა „პატიმრობის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც პატიმარი ქალების მიმართ ახალ ინიციატივებს ითვალისწინებს.

როგორც დეპუტატმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მათთვის შემოდის პაემნის ახალი სახე – საოჯახო პაემანი.

მისი განმარტებით, საოჯახო პაემნის პირობებში, ქალებს შეეძლებათ ოჯახის წევრებს გამყოფი შუშის გარეშე, უშუალოდ შეხვდნენ.

ამასთან, თორდია გამოდის ინიციატივით, რომ პატიმარი ქალებისთვის წახალისების ფორმით სატელეფონო საუბარი შეუზღუდავად იყოს.

მოქმედი ნორმით, პატიმარ ქალებს წახალისების ფორმით, თვეში მხოლოდ 1 დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლება აქვთ.

ინტერპრესნიუსი

◉ თვალსაზრისი

# დაძლეული შიში

## „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ოფისს „მსჯავრდებული“ უხელმძღვანელებს

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ოფისის გახსნა რამდენჯერმე გადაიდო. გავრცელებული ინფორმაციით ყოფილ რესტორან „უკრაინას“ შენობაში განთავსებული ამ შესანიშნავი ოფისის ხელმძღვანელობა ბევრს სურდა, სწორედ ეს დავა და წინააღმდეგობა იყო მიზეზი გახსნის გაჭიანურებისა, მაგრამ ყოველივე ამას წერტილი დაუსვა ირაკლი ალასანიამ. ყველასთვის მოულოდნელად ზუგდიდში თავის მხარდამჭერებთან შეხვედრისას, მან კოალიცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელად დაასახელა თავისი პარტიის წევრი მსჯავრდებული სერგო ჩაჩიბაია, რომელსაც მისჯილი აქვს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის მოტივით.

ზუგდიდში ენგურქაღალდ კომბინატის კულტურის სახლში შეკრებილნი მიესალმნენ ირაკლი ალასანიას ამ გადაწყვეტილებას, რადგან სერგო ჩაჩიბაია იქნება ამ ოფისის სიმბოლური ხელმძღვანელი, აქტიურად კი „ქართულ ოცნებას“ ზუგდიდში და მთელ სამეგრელოში ირაკლი ალასანია უხელმძღვანელებს. ირაკლი ალასანიამ თავისი მოღვაწეობის დაწყება სამეგრელოში ხალხმრავალი შეკრებით დაიწყო. ამდენი ხალხი კომბინატის კულტურის სახლს კარგა ხანია არ ახსოვს. დარბაზი შეხვედრამდე ერთი საათით ადრე გაივსო, მეორე იმდენი კი გარეთ იცდიდა. ყოველივე ეს კარგად ენიშნათ იქ მომსვლელთ და თავად ირაკლი ალასანიასაც. „დღეს აქ ამდენი ხალხის მოსვლა დასტურია იმისა, რომ შიში უკვე გუშინდელი დღეა. დღეიდან შიშზე ლაპარაკი არ უნდა გავიგონო. ამიერიდან სამეგრელოდან – ზუგდიდიდან დაიწყება ამ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი. დღეიდან სამეგრელოში თავისუფლება იწყება“, – მიმართა დარბაზს ირაკლი ალასანიამ.

„ქართულ ოცნებას“ და ირაკლი ალასანიას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ცნობილმა ნეიროქირურგმა, აფხაზეთის მკვიდრმა ნაპო მესხიამ. „მე ჩემს ცხოვრებაში ორჯერ შევცდი, პირველად როდესაც დავუჯერე ედუარდ შევარნაძეს და მეორედ, როცა ხმა მივეცი მიხეილ სააკაშვილს. მჯერა, რომ მესამეჯერ არ შევცდები თუ გვერდში დავუდგები ირაკლი ალასანიას და ბიძინა ივანიშვილს, ამიტომაც მოგიწოდებთ აფხაზეთიდან დევნილებს თქვენც ჩემსავით გვერდში დაუდგეთ ამ პიროვნებებს“, – თქვა შეხვედრაზე გამოსვლისას ნაპო მესხიამ.

მსჯავრდებული სერგო ჩაჩიბაია უკვე სასამართლო პროცესზე წარსდგება, როგორც „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი, გავრცელებული ვერსიით ის სწორედ ირაკლი ალასანიასთან და „ქართულ ოცნებასთან“ აქტიურად თანამშრომლობის გამო არის დაპატიმრებული. ასევე ირაკლი ალასანიასთან ახლო ურთიერთობას შეეწირა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამართველოს მაღალჩინოსანი გოგი ნაჭყებიაც. ის დაკავებულია კონტრაბანდული საქონლის გადმოტანის მოტივით და მისჯილი აქვს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა.

ნაციონალები ყველანაირ შანტაჟზე მიდიან!

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

◉ მხოლოდ კეთილი გულით ნათქვამი

# პროვინციიდან დანახული ქართული მედიის პარადოქსები

## 9. „ცოცხალი შესრულებით“ ნამღერი

სახლის ფანჯრიდან დავინახე, როგორ გაალო მეზობელმა გვერდითი ღობის კარი, როგორ შემოვიდა ეზოში მისი შვილიშვილი თემური, რომელიც „ბიძია გურის“ ძახილით ისე გამოფრინდა ჩემკენ, თითქოს რაიხსტაგზე მიჰქონდა იერიში (სიტყვამ მოიტანა, და ყველა ომის ყველა ვეტერანს და მათ მოდგმას, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს ვულოცავ გამარჯვების დღესასწაულს, ჯანის სიმრთელესთან ერთად ოცნებებისა და მიზნების ასრულებას ვუსურვებ! ვფიქრობ, ისიც გარკვეული სიმბოლური დამთხვევაა, რომ ეს თავი მე-9 აღმოჩნდა!).

მე, ბუნებრივია, იმწუთშივე ვიგუმანე მოახლოებული პროვოკაცია და, ყოველი შემთხვევისათვის, კომპიუტერის მაგიდის უჯრაში ნაყინის საყიდელი ხურდა ფული მოვიძიე (ვისაც წაკითხული აქვს ამ სერიის მე-3 თავი, ასეთ დროს ნაყინის „დანიშნულებას“ მიხვდება).

თემურმა, როგორც კი დამინახა, ეგრევე მაჯახა:

**– მკვდარს სიმღერა შეუძლია?**

ვინც კარგადაა ჩახედული ქართულ მუსიკალურ სამყაროში, იქნებ დადებითი პასუხი გაეცა თემურის (მე-2 კლასელი მოსწავლის!) ამ ირონიული კითხვისათვის, მაგრამ, ჯერ ერთი და, ამ სამყაროში მაინცდამაინც ჩახედულად არ ვთვლი თავს და, მეორეც, ნართაულით საუბარს თემურიც ვერ გამიგებდა (გითხარით უკვე: მე-2 კლასშია-მეთქი!) და თავიდანვე „ჩაყოლა“ ვამჯობინე:

– არა, რა თქმა უნდა!

თემურის სახე გაებადრა:

**– აბა, რატომ ამბობენ ტელევიზორში, „ცოცხლად იმღერაო“? ცოცხალი კაცი მღერის, აბა, მკვდარმა როგორ უნდა იმღეროს?!**

იმ გადაცემას, რომლის გამოც ჩემი პატარა მეგობარი სრულიად ლოგიკურ კითხვებს სვამდა, წუხელ მეც ვუყურე. თემურმა მთლად ზუსტად ვერ თქვა, თორემ იმ გადაცემაში ერთმა „კულტურის მოღვაწემ“ უფრო „კულტურულად“ და „განათლებულად“ თქვა: „ცოცხალი შესრულებით იმღერაო“... „ცოცხალი შესრულებით შეასრულაო“... (და ასე შემდეგ, მსგავსი მარგალიტები ტელეწამყვანთან ერთად ბლომად აფრქვია!).

– ვინც ასე ლაპარაკობს, ის გაუნათლებელი და უკულტუროა! – ყოველგვარი მიკიბმოკიბვის გარეშე პირდაპირ დავსვი დიაგნოზი, რითაც თემური, ეტყობა, დავაბნიე, რადგან შესამჩნევი ყოყმანით მითხრა:

**– რატომ არის გაუნათლებელი და უკულტურო?!**

– ასეთი ადამიანი, არა მარტო გაუნათლებელი და უკულტუროა, არამედ სულელიცაა! რატომ? იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, „კულტურის მუშაკი“, რომელიც იმას ვერ ხვდება, რასაც მეორეკლასელი მოსწავლე ხვდება, სულელია! და, მეორე, ვინც სულელურ და ლოგიკურ აზრს ვერ არჩევს ერთმანეთისაგან, თავისთავად, სულელია! სწორი ვარ?

თემური საქმის ასეთ „შემობრუნებას“ არ ელოდა და აშკარად შეწუხებული მეთანხმება:

**– სწორი ხარ!**

მხრებჩამოყრილი თემური მიბრუნებას და სახლში წასვლას აპირებს, მაგრამ უცებ სახე უნათდება და ჩემ ჩასაჭრელად არცთუ მთლად კეთილსინდისიერ სვლას აკეთებს:

**– სულელ კულტურის მუშაკებს რატომ იწვევენ ტელევიზიებში?**

ამ კითხვაზე ლოგიკური პასუხი ტელევიზიების მესვეურებსაც კი მომამდურებს, არც თემურის „მომდურება“ მინდა, ამიტომ უსიტყვოდ ვიღებ ხურდა ფულს და:

– ა, შენ თემურ, ნაყინის ფული!

* * *

**თემური დღესაც კმაყოფილია: გახარებული მიქრის მაღაზიისკენ!**

**მეც თუ გახარებული ვარ, რადგან თემურს უხარია (ნაყინის მოგება)!**

**მაგრამ...**

**მაგრამ, რამდენ სისულელესაც იტყვიან ტელევიზორში ან დაიბეჭდება გაზეთში, მე იმდენი ნაყინი გამიხდა საყიდელი ჩემი მეზობელი მეორეკლასელი თემურისთვის, მთლად კარგად ვერ იქნება, მგონი, ჩემი საქმე!..**

**ჰო, კიდევ ერთგან ვთქვი: ერთი ჩემი მეგობრის აზრით, „პროვინციაში მცხოვრები“ სხვაა და „პროვინციელი“ სხვა.**

**ანუ:**

**დედაქალაში ცხოვრება თავისთავად არ ნიშნავს არც განათლებას და არც პროფესიონალიზმს.**

**არ მეთანხმებით?**

**გური ხიოლია,**
პროვინციაში მცხოვრები
პროფესიონალი მკითხველი და
ტელემაყურებელი (ალაგ-ალაგ)

◉ მწერების შემოსევა

# კალიები სოფლებს თავს ნაადრევად დაესხნენ

**წლეულს კალიების შემოტევა მეტად ადრე დაიწყო. ეს მავნებელი მწერები ადრე გაზაფხულზე თითქმის არასდროს გამოჩენილან, წელს კი აპრილში თბილისში დახტოდნენ, ხოლო მაისში კახეთში გადაინაცვლეს.**

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანს იტალიური კალია შეესია. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ზემო ალვანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა დავით ქააძემ განუცხადა, კალიები ნათესებს ელვის სისწრაფით ანადგურებენ.

**„ძალიან ცუდი მდგომარეობაა. დაახლოებით 300 ჰექტარი უკვე გადაძოვეს, აქამდე მხოლოდ ბალახს ჭამდნენ, ახლა უკვე ყანებს შეესივნენ და უკვე 15 ჰექტრამდე ყანა გაანადგურეს. პატარა, შავი ფერის კალიებია. როგორც წყლის ტალღა, ასე მოდის და უკან მარტო სიცარიელე რჩება. ძალიან ბევრია.**



**დაახლოებით 300 მეტრის სიგრძეზე და 5-10 სანტიმეტრის სისქეზე ერთმანეთზე არიან ასხმულები და ასე მოდიან. 3-4 დღეა შემოვიდნენ, მაგრამ მე გუშინ გავიგე. მუნიციპალიტეტის გამგეობა, გუბერნატორის ადმინისტრაცია და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქმის კურსში არიან და ველოდებით რეაგირებას“,** – აღნიშნა დავით ქააძემ.

კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილის გიორგი სიბაშვილის განცხადებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეწამვლა დღეიდან უნდა დაეწყო, თუმცა უამინდობის გამო გადაიდო. **„როგორც მითხრეს, წვიმიან ამინდში კალიები შებუდულები არიან. როგორც კი გამოამინდდება, შეწამვლა დაიწყება“,** – განაცხადა გუბერნატორის მოადგილემ.

**კახეთამდე კალიები თბილისში გამოჩნდნენ. დაახლოებით 3 კვირის წინათ ეს სწორფრთიანი მწერები თემქაზე აფრთხობდნენ მოქალაქეებს. ამ რაიონის მოსახლეობა ჩიოდა, რომ კალიებმა უკვე მაღალ სართულებზეც კი ააღწიეს.**

კალიები და ქვეწარმავლები თბილისის და კახეთის მოსახლეობას შარშანაც პრობლემას უქმნიდა. 2011 წლის ივლისში დედაქალაქს და კახეთს კალიები ერთდროულად შეესივნენ. სიღნაღში სიმინდისა და მზესუმზირის ნარგავების 100 ჰექტარი თითქმის მთლიანად გაანადგურეს. სხვათა შორის მაშინ ნათესებს ერთდროულად 8 სახეობის კალია უტევდა.

კალიების აპრილში გამოჩენას გარემოსდამცველი ნინო ჩხობაძე ნაადრევად დათბობას უკავშირებს. **„ტემპერატურამ უცებ აიწია და კალიები გამოიჩეკნენ. ეს ბუნებრივი მოვლენაა, თუმცა სოფლის მეურნეობისთვის ძალიან ცუდია“,** – განაცხადა ჩხობაძემ.

თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურში ჯერ კალიების წინააღმდეგ არ დარაზმულან. მათი ხელმძღვანელის თემურ გიორგაძის თქმით, ჯერჯერობით კალიების მასობრივი გამოჩენა არ დაფიქსირებულა.

**„თუ მასობრივად მოხდება კალიების გამოჩენა, დაიწყება პრევენციული ზომები – შეწამვლა. ამ ეტაპზე არ არის საჭიროება, რომ კალიების წინააღმდეგ ასეთი რეაგირება დავიწყოთ“,** – განაცხადა თემურ გიორგაძემ.

**საქართველოში გავრცელებულ მომწვანო-მოყავისფრო კალიებს – იტალიურს ამსგავსებენ. ისინი, ძირითადად, გვხვდებიან მცენარეებით დაფარულ ადგილებში. გარემოსდამცველები ამბობენ, რომ ამ ტიპის მწერები ადამიანის ჯანმრთელობისა და მით უფრო სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ. ისინი მხოლოდ სოფლის მეურნეობას აყენებენ ზიანს.**

**გიორგი ბექაური**

◉ ინფორმაცია

### ტელეკომპანია „თრიალეთის“ ინფორმაციით, მათ ნაცვლად საკაბელო კომპანიამ რუსული არხი ჩართო

**ტელეკომპანია „თრიალეთის“ ინფორმაციით, გორის საკაბელო კომპანია „კოსმოსთან“ აბონენტები ხელშეკრულების შეწყვეტას აპირებენ, იმ შემთხვევაში, თუ „თრიალეთის“ მაუწყებლობა უახლოეს დღეებში არ აღდგება. –ამის შესახებ ტელეკომპანიის განცხადებაშია ნათქვამი.**

**მათი ინფორმაციით, საკაბელო ქსელში „თრიალეთს“ მეთორმეტე არხზე უყურებდნენ, დღეს უკვე მის ნაცვლად საკაბელო ოპერატორმა რუსული არხი „ტვ 1000“ ჩასვა.**

**„თრიალეთის“ ცნობით, ადგილობრივი მოსახლეობა საკაბელო კომპანიის მიერ „თრიალეთის“ მაუწყებლობის აღდგენის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას აპირებს.**

**„ჩვენი მაუწყებლობა ადგილობრივ საკაბელო ქსელში მესამე დღეა გამორთულია, მაშინ, როდესაც საერთაშორისოდ მიღებული წესებით, იმ საკაბელო ოპერატორს, რომელიც ამა თუ იმ ტერიტორიაზე მაუწყებლობს, ეკრძალება ადგილობრივი ტელევიზიის გათიშვა და კანონი ავალდებულებს უხარვეზოდ მიაწოდოს აბონენტებს ადგილობრივი ტელევიზიის მაუწყებლობა. საკაბელო კომპანია „კოსმოსი“ ადგილობრივი ტელევიზიის, „თრიალეთის“ მაუწყებლობას თიშავს, მაშინ როდესაც თბილისის ტელეკომპანია „რეალტივის“ ტრანსლირებას ახდენს“ – ნათქვამია ტელეკომპანია „თრიალეთის“ განცხადებაში.**

**ტელეკომპანიაში ირწმუნებიან, რომ „თრიალეთის„ გათიშვა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების დავალებით მოხდა.**

### ჯონ ბასი – მნიშვნელოვანია როგორც მშვიდობის მიღწევა, ასევე მუშაობა მისი შენარჩუნებისთვის

**მნიშვნელოვანია როგორც მშვიდობის მიღწევა, ასევე მუშაობა მისი შენარჩუნებისთვის, – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა ჟურნალისტებს ვაკის პარკში განუცხადა, სადაც ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა და საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატებმა უცნობი ჯარისკაცის საფლავი ყვავილებით შეამკეს.**

**აშშ-ის ელჩის თქმით, მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნების დახმარება, ვისაც ამ თვალსაზრისით პრობლემები აქვს, რათა ყველგან ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებები იყოს დაცული ისე, როგორც ეს არის დასავლეთში.**

**საქართველოს საგარეო უწყების წარმომადგენლებმა და დიპლომატებმა ასევე პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველ მეომრებს.**

ინტერპრესი

◉ მამულიშვილი

# კაცი, რომელიც ისტორიას ახალი, საკუთარი თვალით უყურებს

**ანზორ შონია სამშობლოზე, ოჯახსა და სამეგობროზე რაღაც სხვაგვარად — ცრემლებამდე შეყვარებული კაცია. რწმენით სავსე, გულწრფელი და ავკარგიანი კოლხი ჭეშმარიტ მოღვაწედ რუსთავქალაქში ჩამოყალიბდა. თანაც, სამეურნეო საქმიანობის როგორი გზა განვლო, — მარტოოდენ ჩამონათვალი სულს დაგიმშვიდებს კაცს:**

დაიბადა 1937 წელს ქ.თბილისში, მოსამსახურის ოჯახში, მაგრამ მამის რეპრესირების შემდეგ ოჯახი გაასახლეს ზუგდიდში, სადაც 1955 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ზუგდიდის მე-6 სკოლა, ხოლო 1960 წელს — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი.

1960-65 წლებში მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ და ქიმიური ბოჭკოს ქარხნებში ოსტატად, მექანიკოსად, საამქროს უფროსის მოადგილედ, მთავარი ინჟინრის მოადგილედ.



1965-68 წლებში იყო რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

1968-71 წლებში მუშაობდა შსს რუსთავის ქვეგანყოფილების უფროსად.

1971-74 წლებში ხელმძღვანელობდა რუსთავის მექანიკურ ქარხანას.

1974-86 წლებში იყო რუსთავის ლუდისა და ხილეულის წყლების კომბინატის დირექტორი.

1986-91 წლებში იყო ბორჯომის გაერთიანება „ბორჯომის" გენერალური დირექტორი.

1991-99 წლებში ისევ რუსთავის ლუდისა და ხილეულის წყლების კომბინატის დირექტორია.

იმ ხანებში ქ.რუსთავში შეიქმნა „მრეწველთა კავშირი", რომლის თავმჯდომარეც 1995-99 წლებში ანზორ შონია იყო.

მიუხედავად დაძაბული სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული რესპუბლიკის საზოგადოებრივ-მეცნიერულ ცხოვრებაში. მისი ინტერესების სფეროს წარმოადგენდა საქართველოს ისტორია და ქართული ასომთავრული დამწერლობა.

1982 წელს ჟურნალ „ჩირაღდანში" გამოქვეყნდა მისი წერილი — „რამდენიმე შენიშვნა რამაზ პატარიძის წიგნზე — „ქართული ასომთავრული", მან მაღალი შეფასება მისცა ამ წიგნს, გაიზიარა ავტორის მოსაზრება ასომთავრული დამწერლობის ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში შექმნის თაობაზე, მაგრამ არ დაეთანხმა ქართული ანბანის ასონიშნების რაოდენობის ხელოვნურად შემცირებაში, ასონიშან „უ"-ნის ამოღებაში, ასონიშან „წ"-ილში ჩადებულ საიდუმლოების საკითხში და ბგერა „ჟ"-ანის ფრანგულ წარმომავლობაში.

გამოქვეყნდა მისი წერილი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისადმი („გვარები მეტყველებენ". 1997 წ.თბ.ძ, რომელიც ეხება ჩვენი გამოჩენილი ენათმეცნიერის წიგნს „უძველესი დამწერლობები და ქართული ასომთავრული" (თბ. 1989 წ.ძ.

ანზორ შონიამ არ გაიზიარა ბატონ თამაზის მოსაზრება ქართული ასომთავრული დამწერლობის V საუკუნეში შექმნის თაობაზე და კიდევ ზოგიერთ საკითხზე.

ბატონი ანზორი ერთმნიშვნელოვნად თვლის, რომ ქართული ასომთავრული ანბანის ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში მავანი შემქმნელი გენიოსი პიროვნებაა და მიიჩნევს, რომ ის დამწერლობა გათვალისწინებული იყო საქართველოში არსებული ენების საწერად...

**ანზორ შონია შეძრა აფხაზეთის ტრაგიკულმა მოვლენებმა.**

როგორც სამეგრელო-აფხაზეთში გაზრდილი კაცი, ის აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართული პროცესების კურსში იყო და ერთ-ერთმა პირველმა შეახსენა საზოგადოებას მოსალოდნელ საფრთხეზე.

1989 წელს გამოქვეყნდა მისი წერილი აფხაზი შონიებისადმი, „ვაი ჩვენს თავს!" (გაზ. „ბორჯომი"ძ, რომელშიც სთხოვდა თავის გააფხაზებულ მოგვარეებს დაბრუნებოდნენ მშობლიურ ფესვებს.

მისი ინიციატივით 1990 წელს ქ.გალში შედგა შონიების საგვარეულოს შეკრება, სადაც მოწვეული იყვნენ გააფხაზებული შონიებიც. გულითადი, გულწრფელი დიალოგის შემდეგ 18-მა შონიამ აღიდგინა საკუთარი ეროვნება!

მის მოწოდებას, — სხვა საგვარეულოებსაც მიებაძათ შონიებისთვის, სამწუხაროდ, შედეგი არ მოჰყოლია.

1989 წელს ანზორ შონიას მზად ჰქონდა ნარკვევი „ერის დიდი სატკივარი", რომელშიც ის სთავაზობდა საზოგადოებას თავის მოსაზრებებს აფხაზეთის რაობაზე, უძველესი აფხაზებისა და თანამედროვე ე.წ. „აფხაზების" რაობაზე, აფხაზეთში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე პროცესების რეალურ არსზე და აფრთხილებდა საზოგადოებას აფხაზეთიდან მოსალოდნელ საფრთხეზე, მაგრამ, სამწუხაროდ, კომუნისტურ ეპოქაში ვერ მოხერხდა მისი გამოქვეყნება, ის დაიბეჭდა ჟურნალ „პოლიტიკაში" (1995 წ. I-VIIIძ, მაგრამ უკვე სათანადო ეფექტი აღარ ჰქონდა.

1993 წელს გაზეთ „რუსთავში" გამოქვეყნდა ანზორ შონიას წერილი, „ეროვნული მნიშვნელობის საბედისწერო შეცდომა", სადაც საზოგადოების ყურადღებას ამახვილებდა კუთხური ცნობიერების დამღუპველ როლზე აფხაზეთის მოვლენებში.

1997 წელს გამოქვეყნდა ბროშურა „გვარები მეტყველებენ", სადაც ქართულ გვარებზე დაყრდნობით უაღრესად საფუძვლიანად დაამტკიცა, რომ ე.წ. „აფხაზ ერში" დაახლოებით 80-85 პროცენტი, ისტორიული გაუგებრობის გამო გააფხაზებული ქართველია.

1989 წელს ანზორ შონიამ გამოსცა წიგნი „დიდი საქართველოს ტრაგედია", რომელშიც საქართველოს ისტორიის ფონზე განხილულია აფხაზეთის ისტორია, აფხაზეთის რაობა, უძველესი აფხაზების ვინაობა, იქ მიმდინარე პროცესების რეალური არსი და ა.შ. **ქართველი საზოგადო მოღვაწეებიდან, ალბათ, ერთადერთმა, რეალური არგუმენტების საფუძველზე მან შესთავაზა საზოგადოებას ასეთი მოსაზრება: აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, აფხაზეთად იწოდებოდა ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია, აფხაზეთი მისი ერთ-ერთი საერისთავო იყო, უძველესი აფხაზები ქართველები არიან, უფრო სწორად, აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები იწოდებოდნენ აფხაზებად**.

ის კატეგორიული წინააღმდეგია აფხაზეთში ორაბორიგენობისა და მიიჩნევს, რომ ერთადერთი აბორიგენი ქართველები (მეგრელებიძ არიან, მხოლოდ ეს იყო, რომ აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს ერქვათ აფხაზები, ხოლო ადიღეურ-ჩერქეზული მოდგმის ხალხი, ბოლო 2-3 საუკუნის განმავლობაში არიან ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსულები და მათი რაოდენობა დღესაც 10-12 პროცენტს არ აღემატება.

ანზორ შონიას წერილები და სტატიები ხშირად იბეჭდება ქართულ პრესაში. „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა მისი სტატია „ერის შერიგება-გამთლიანების პროცესის შეჩერება დაუშვებელია", „კუთხური ფაქტორის პოლიტიკური მიზნით გამოყენება საშიშია" და ა.შ., ჟურნალ „საისტორიო ვერტიკალებში" გამოქვეყნდა (2002 წ. № 1ძ მისი წერილი, „დავუბრუნოთ საქართველოს თავისი ისტორიული სახელი „იბერია".

2001 წელს გამოაქვეყნა ბროშურა „დანაშაულის ტოლფასი უთქმელობა" აფხაზურ საკითხზე, წიგნი „ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა" (2003 წ.ძ, სადაც კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე.



2007 წელს გამოიცა წიგნი „კოლხები ქართველების წინაპრები", რომელშიც ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ **შორეული წარსულიდან კოლხეთის სამეფო მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ფაქტობრივად, მთელ სამხრეთ კავკასიას. იქვე გამოაქვეყნა ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეების კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს რუკა.**

2008 წელს გამოვიდა მისი ბროშურები — „ჩვენი ქვეყნის სახელები" და „მეგრულ-აფხაზურ გვარებზე".

„საერთო გაზეთში" გამოაქვეყნა სტატია, „მოსაზრებანი საქართველოს ისტორიაზე", რომელიც ეხება ახალგამოსულ „საქართველოს ისტორიის" ოთხტომეულს.

ანზორ შონია არის ფაზისის და ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიების წევრი.

2001 წელს აირჩიეს ქ.რუსთავის საზოგადოება „რუსთაველების" საპატიო თავმჯდომარედ.

ასეთია ამ მოაზროვნე, დაუდეგარი, პრინციპული კაცის ბარაქიანად მოვარგებული და მოჭირნახულებული წუთისოფელი. 75 წლის ასაკშიც არ ელევა საფიქრალ-საზრუნავი, რადგანაც ანზორ შონიას საფიცარი მამული ისევ დანაწევრებულია, ქართველი ერი ისევ გახლეჩილია, სოციალური ფონი დამძიმებულია, პერსპექტივა კი — მრუმე და ბუნდოვანია!

ღმერთმა სამშობლო გადაგირჩინოს და აგიღორძინოს, ღირსეულო მოღვაწევ და ჩვენს წარსულზე ახალი თვალით მზირალო კაცო.

**ჯონი რუხაძე,**
**ალექსანდრე სირაძე,**
**სპარტაკ ქობულია**

**რედაქციისგან: ჩვენი რედაქცია მთლიანად უერთდება ამ მილოცვის პათოსს და მთელი გულით ულოცავს საიუბილეო თარიღს ბატონ ანზორს, რომელიც სამშობლოს უანგარო სიყვარულმა წარმატებული მეურნე კაცი ისტორიკოსადაც აქცია და აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია, რაც მრავალათასწლოვან წარსულში პროფესიონალთათვის ბევრ რასმე „საჭოჭმანოს" ეძიებს. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია ისტორიით ესოდენ გატაცებულ ჩვენს მეგობარს წარმატება ვუსურვოთ სამშობლოს წარსულისმცოდნეობაში.**

◉ აკადემია

# პირველი, მაგრამ არა ბოლო

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას სტუმრობდა პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიის დეპარტამენტის მკვლევარი, დოქტორი კატარზინა კოსც-რიზკო, რომელმაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გაფართოებულ სხდომაზე წაიკითხა ეკრანით ილუსტრირებული მოხსენება „კავკასიელ დევნილთა იდენტობა და ინტეგრაცია პოლონეთში (დევნილთა ორი ბანაკის მაგალითზე)".**

სხდომის გახსნისას განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა პანი კატარზინა წარმოგვიდგინა, როგორც პოლონეთის აკადემიის სისტემაში მომუშავე ისტორიკოსი, რომელიც ნაყოფიერ კვლევით საქმიანობას ეწევა დევნილთა პრობლემატიკაში, თბილისში მეცნიერული მიზნებითაა ჩამოსული და მეურვეობას ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, სმეა-ის წევრ-კორესპონდენტი ლიანა მელიქიშვილი უწევს.

პოლონელმა სტუმარმა კარგი რუსულით გვიამბო მოსათხრობი.

საბჭოთა კავშირის ნგრევამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დიდ ნაკადებად ლტოლვილთა გადინება გამოიწვია. საკუთარი კულტურის მქონე ეთნოსთა წარმომადგენლები მძიმედ ეგუებიან ახალ გარემოცვას და უჭირთ ინტეგრირება, რამდენადაც საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას ცდილობენ, რაც აუცილებელი მოთხოვნილებაა ადამიანისაც და საზოგადოებისაც. ეს, რასაკვირველია, აძნელებს ურთიერთობას სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის.

ევროპა მთელ იმედს ეგრეთ წოდებულ მულტიკულტურალიზმზე ამყარებდა, თუმცა ამ „იზმმა", როგორც წამყვანი ქვეყნების ლიდერები აღიარებენ, არ გაამართლა. დღემდე გადაუწყვეტი რჩება ინტეგრაციის, კრიმინალიზაციის, ურთიერთდაპირისპირებისა და სხვა სერიოზული საკითხები. პრობლემურია ევროკავშირის მიერ ჩატარებული „ტრენინგული" სამუშაოები, რომელთა შედეგები უპერსპექტივოდ გამოიყურება.

სწორედ ეს თემები გაშუქდა დოქტორ კატარზინა კოსც-რიზკოს გამოსვლაში პოლონეთში განთავსებულ დევნილთა ორი ბანაკის მაგალითზე, რომლებიც მომხსენებელს შეუსწავლია და სადაც ცხოვრობენ კავკასიიდან, კერძოდ საქართველოდანაც წასულნი.

ცოტა გასაკვირიცაა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამ „წასულთა" პირველ „ქართულ" ნაკადში 5 000-მდე კაცი ყოფილა... უფრო მეტნი კი — ჩეჩნები... პოლონეთის მთავრობა თურმე, შეძლებისდაგვარად, ჯეროვანი ყურადღებით ეკიდება დევნილებს. სხვათა შორის, თითოეული მათგანი ყოველთვიურ დახმარებად 72 ზლოტს (140 ლარსძ იღებს — ეს ისე, განსჯისთვის ინფორმაციის სახით...

— საქართველოში პირველად ხართ? როგორია თქვენი შთაბეჭდილებებიმეთქი, — ვკითხე მერე პანი კატარზინას.

— დიახ, თქვენთან პირველად ჩამოვედი და ისეთი კმაყოფილი ვარ, ისეთი კარგი დახვედრა შემაგებეს, რომ უთუოდ კვლავ გეწვევით, მიპასუხა.

ვფიქრობ, ეს ქათინაური, უწინარესად, პროფესორ ლიანა მელიქიშვილით უნდა დამისამართდეს...

**თამაზ ეზანოიძე**

◉ ინფორმაცია

## კახეთში მდინარეები ადიდდა

**მთებში თოვლის დნობისა და წვიმების გამო კახეთში მდინარეები ადიდდა. როგორც კახეთის გუბერნატორის მოადგილე გიორგი სიბაშვილმა განაცხადა, ძირითადად, ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონის ის მდინარეებია ადიდებული, რომლებიც ალაზანს უერთდება.**

**სიბაშვილის თქმით, გასული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, პრევენციული ღონისძიებების სახით რეგიონში მდინარეების კალაპოტები გაიწმინდა, რათა ადიდებულმა წყალმა ზარალი აღარ გამოიწვიოს.**

**„მდინარეებში წყლის დონე მომატებულია, თუმცა საგანგაშო ჯერჯერობით არაფერია. სასწაული უნდა მოხდეს, რომ მდინარეები კალაპოტებიდან გადმოვიდეს. ჩვენ პრევენციულ ღონისძიებებს პერმანენტულად ვატარებთ. ვასუფთავებთ და ვწმენდთ კალაპოტებს, რათა წყალმა ნაპირები არ გადმოლახოს, ზარალი და მსხვერპლი არ გამოიწვიოს", — განაცხადა გიორგი სიბაშვილმა.**

**მისივე თქმით, მდინარეების კალაპოტების გაწმენდითი სამუშაოები ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება.**

ინტერპრესი

# ეს გამარჯვება ქართველებმაც გამოვჭედეთ!

**დღეს 9 მაისია, 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების დღე!**

**რატომ ასე დაწვრილებით და ხაზგასმულად? — სამართლიანად იკითხავს მკითხველი — ეს ხომ ისეთი ანბანა და აქსიომაა, რომ რად უნდა ასე დაწვრილებით აღნიშვნაო!**

**არა, ჩემო კარგებო, ეს ყველაფერი ერთი შეხედვით არის ასე, თორემ თუ კარგად დავაკვირდებით, ის, რაც გუშინ უეჭველი და უდავო იყო, დღეს საეჭვო-სადავო უნდათ რომ გაგვიხადონ.**

**შარშან, საქართველოს უახლეს, გნებავთ, ე.წ. დამოუკიდებლობის შემდგომ ისტორიაში, პირველად იყო მცდელობა, რომ ფაშიზმზე გამარჯვების დღე არა 9 მაისს გვეზეიმა, როგორც აქამდე ვზეიმობდით, არამედ 8 მაისს, როგორც ამას დანარჩენი „ცივილიზებული მსოფლიო" აღნიშნავს თურმე, ვითარცა მეორე მსოფლიო ომის დასრულების დღეს.**

ოდითგან დადგენილი თარიღის „მოულოდნელად" უარყოფა საზოგადოებას ასე აგვიხსნეს — თურმე, ნუ იტყვით და, 1945 წლის 8 მაისს, როცა გერმანიის მიერ ხელმოწერილი უსიტყვო კაპიტულაციის აქტმა მოსკოვს ჩამოაღწია, მაშინ მოსკოვში უკვე 9 მაისის გამთენია ყოფილა და ამიტომ დადგინდა საბჭოეთში დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებული 9 მაისი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დღედ. ანუ დროის სხვადასხვა სარტყლებით გამოწვეულ ტექნიკურ ლაფსუსად უნდათ შემოგვასაღონ ეს აშკარა მკრეხელობა!

**არა და არა, შინაურ-გარეულო ისტორიის გამყალბებელო ბატონებო და ქალბატონებო! საბჭოთა კავშირში არასოდეს უზეიმიათ ე.წ. მეორე მსოფლიო ომის დასრულება. რადგანაც, რაც „განათლებული და დემოკრატიული" დასავლეთისთვის, ბანალურად ჟღერადი, „მეორე მსოფლიო ომია", ჩვენთვის, „გაუნათლებელი და ბნელი" საბჭოელებისთვის, რომლებმაც დიდი სტალინის გენიალური სარდლობით ლომის წილი დავიდეთ ფაშიზმის განადგურებაში, ის ომი იყო, არის და იქნება დიდი სამამულო ომი! და სწორედ დიდ სამამულო ომში (როგორც სტალინმავე უწოდა ამ ომს) გამარჯვებას ვზეიმობდით და მომავალშიც ამასვე ვიზეიმებთ!**

გასათვალისწინებელია ისიც, თუ ვინ რა „ფასი გადაიხადა" მოკავშირეთაგან ამ გამარჯვებისთვის! უკანასკნელი დაზუსტებული მონაცემებით, აშშ-მა დაახლოებით 318 ათასი, ხოლო ინგლისმა 388 ათასი ჯარისკაცი დაკარგა, სსრკ-მა კი, 27 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე მიიტანა გამარჯვების სამსხვერპლოზე. თუნდაც ამ აშკარად „სასაცილო სხვაობის" გამო არა თუ ეკუთნოდა საბჭოეთს გამარჯვების თარიღის ცალკე დაწესება-აღნიშვნა, არამედ მოვალეც კი იყო ქართველი გენერალისიმუსი, ამითაც გაესვა ხაზი და განსაკუთრებული პატივი მიეგო დაღუპულთა ხსოვნისთვის!

**თუმცა საერთოდ რაზეა და ვის თანაბარ დამსახურებაზეა ლაპარაკი, როდესაც პატარა საქართველომაც კი, რაოდენობრივად უფრო მეტი ვაჟკაცი შესწირა ფაშიზმზე გამარჯვებას, ვიდრე ანტიფაშისტური კოალიციის ლიდერობაზე პრეტენზიის მქონე აშშ-მა და ბრიტანეთმა ცალ-ცალკე? საბჭოეთის მოკავშირეებმა, რომლებმაც მეორე ფრონტის გახსნა მხოლოდ მაშინ იკადრეს, როდესაც გერმანიის დამარცხება მათ გარეშეც გარდაუვალი გახდა, ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთეს, რომ ომის შემდგომ ევროპაში „ტორტის გაყოფის" დროს მსუყე ნაჭერი მათაც დაეთრიათ...**

მანამდე კი ფაშისტებზე არანაკლებად სურდათ რუზველტსა და ჩერჩილს რუსეთის დამარცხება და თავიანთი ტერიტორიებიდან შორს, როგორც ახლა იტყოდნენ, „ლაითად ომობდნენ" — აშშ, პერლ ჰარბორის შემდეგ, წყნარ ოკეანეში იაპონელებთან, ხოლო ინგლისი საკუთარ კოლონიებს იცავდა ჩრდილოეთ აფრიკაში.

აშშ, ამ ყველაფრის მიუხედავად, დღეს ცდილობს, რომ ფაშიზმზე გამარჯვება ლომის წილი ისტორიის გაყალბებით მიიწეროს — **ჰოლივუდის გადაღებული ფილმებიც იმას უმტკიცებენ მსოფლიოს, თითქოს ჰიტლერული გერმანია „რიგით რაიანებს" დაემარცხებინოთ და წითელი არმია ლამის არაფერ შუაში იყო.** არადა, იმ ომის დროს ნიუ-ორკის ბარ-რესტორნებში ისე უზერავდნენ ამერიკელი ჯაზმენები, რომ ომისა არაფერი ეტყობოდათ. ის ყბადაღებული „ლენდლიზიც", რითიც სსრკ-ს ეხმარებოდნენ, საბოლოო ჯამში საკუთარი ეკონომიკის დახმარება იყო. ეკონომიკისა, რომელმაც ე.წ. „დიდი დეპრესიის" შემდეგ პირველად სწორედ მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიწყო აღმასვლა და ომის შემდგომ ნანგრევებად ქცეული ევროპის ფონზე ხომ საერთოდ, როგორც იტყვიან, შავი დედალივით გაკეთდნენო, მდიდრდებოდნენ და მდიდრდებოდნენ...

**ინგლისი? — იშვიათი გამონაკლისების გარდა (საუთჰემპტონი), ნაკლებად ეფექტიან ავიადაბომბვებს თუ არ ჩავთვლით, მაინცდამაინც მძიმედ არც ბრიტანეთი დაზარალებულა. მიუხედავად ამისა, 1945 წლის გაზაფხულზე, ბრიტანეთის სამეფო ავიაციამ ლაიფციგი მიწასთან გაასწორა, რასაც ათობით ათასი მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის ქალებისა და ბავშვების სიცოცხლე შეეწირა. ანუ ეს მოხდა მაშინ, როდესაც მესამე რაიხი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და აქედან გამომდინარე ასეთი ბარბაროსობის არანაირი სტრატეგიულ-ტაქტიკური აუცილებლობა არ იყო.**

**ამას დავუმატოთ უკვე პრაქტიკულად დამთავრებული მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელების მიერ ჩადენილი ხიროსიმა-ნაგასაკის ატომური გენოციდი და მერე ილაპარაკონ შინაურმა თუ გარეულმა „ჰუმანისტმა" ისტორიის გამყალბებლებმა სტალინის სისხლისმსმელობაზე.**

**თუმცა არც ამას სჯერდებიან დასავლელი „მშვიდობის მტრედები" და აქტიურად მუშაობენ იმისთვის, რათა სტალინი და ჰიტლერი ერთი და იმავე ბოროტებად აღიარებინონ მსოფლიოს, რისი პირველი მცდელობაც ევროსაბჭოში, რუსეთის მძაფრი პროტესტის გამო ჯერჯერობით ჩაუვარდათ...**

**სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დიდი სამამულო ომის თემების განქიქება დღეს არ დაუწყიათ.**

ის ომი ჩვენი ომი არ იყოო; რისთვის იბრძოდნენ ჩვენი მამაპაპები კომუნისტების ომშიო; გაემარჯვა ჰიტლერს, ახლა ბავარიულ ლუდს დავლევდითო; რატომ დაიღუპა ამდენი ქართველი, როდესაც ჩვენს მიწაზე გერმანელებს ფეხი არ დაუდგამთო და ა.შ. მსგავსი სისულელეები გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს აბობოქრებული ეროვნული მოძრაობის, დღეს უკვე ოდიოზური ზოგიერთი ლიდერის გაცხელებულ თავებში იშვებოდა და მათივე ბაგეებიდან ხმიანდებოდა.

მიშნაცებმა უბრალოდ გააგრძელეს ეს ხაზი და, მათივე დევიზიდან გამომდინარე, ლაპარაკიდან საქმეზე გადავიდნენ. საქმეებზე, რომელთაგან პირველი ქუთაისში დიდების მემორიალის აფეთქების ვანდალური აქტი იყო. მემორიალისა, რომლის გახსნისასაც თავის დროზე პატარა სასწაული მოხდა — ათობით ჰაერში გაშვებული მტრედიდან ერთ-ერთმა „ირაო დაარტყა" და მემორიალის ავტორს, გენიალურ მერაბ ბერძენიშვილს მხარზე დააჯდა (!!!), რაც ღვთის სასიკეთო მინიშნებაც იყო უთუოდ.

ამ მემორიალის აფეთქებისას ორი ადამიანის, დედისა და უცოდველი ბავშვის სიკვდილიც ღვთის მინიშნება იყო, რომელიც ყურად არ იღო ჩვენმა მანქურთმა ხელისუფლებამ და შემდეგი „ლიბერასტული" ნაბიჯი გადადგა — შუაღამისას მზაკვრულად მიაყენეს ამწეები სტალინის მონუმენტს გორში და ჯერ წამოაქციეს ფაშიზმის განადგურების უპირველესი მსოფლიო შემოქმედი და შემდეგ უკვალოდ გააქრეს სოსელოს ძეგლი...

აქედან გამომდინარე გასაკვირია, რომ 9 მაისის 8 მაისით შეცვლაც მოინდომეს ამ ხლისტებმა?

მაგრამ ეგ არაფერი, ხალხო! ნათქვამია, „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო" — ამ ვარდისფერ ჭირსაც მოვიცილებთ როცა იქნება, და თუ საქართველოს, ეროვნული იქით იყოს და, უბრალოდ საღად მოაზროვნე ხელისუფლება ელირსება, სტალინის ძეგლი ისევ დიდებით დაბრუნდება თავის კვარცხლბეკზე!

მანამდე კი ერთ სულისშემძვრელ საგას გიამბობთ დიდი სამამულო ომის თემაზე...

არ არსებობს ოჯახი საქართველოში, რომელსაც იმ უსასტიკეს ომში ვინმე ახლობელი, სისხლი და ხორცი არ დაეკარგოს. ამ მხრივ არც ჩვენი ოჯახია გამონაკლისი და ახლა რაც მამაჩემისგან მსმენია, იმას გიამბობთ...

1934 წელს, მამაჩემის ბიძა თბილისის უნივერსიტეტში სრულიად მშვიდობიან გეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. ამ დროს დაწყებულა პირადად სტალინის ინიციატივით კავშირის მაშტაბით „ვისოკი, კრასივი" ბიჭების „დავერბოვკება" მაშინ ჯერ კიდევ ახლად ფეხადგმულ საბჭოთა ავიაციაში. ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი „ვისოკი. კრასივი" 22 წლის ჭაბუკი, გივი ჯორკოშვილიც აღმოჩნდა — მამაჩემის ბიძაც! ისიც იმ ათასებს შეუერთდა, რომელთაც შემდეგ „სტალინსკი სოკოლებსაც" ეძახდნენ...

ქიზიყში დაბადებულ შევარდენს, თავისი „ოტეც სალდატაც" ჰყავდა — უნივერსიტეტის უბრალო კარისკაცი, რომელსაც მთელი მაშინდელი უნივერსიტეტი, სიყვარულით ძია მოსეს ეძახდა. ამ ჩემს დიდპაპას, მხოლოდ იმიტომ ვახსენებ, რომ ამ სევდიანი ამბის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა.

გივის ავიაპოლკი მოსკოვთან ახლოს, დაბა კლიაზმაში იყო დისლოცირებული, საიდანაც არა-ერთხელ გაჰყოლია მისი ავიაგამანადგურებლების ესკადრილია მძიმე ბომბდამშენებს დამცავ ესკორტად ბერლინისა თუ სხვა ქალაქების ღამეული დაბომბვებისას. საბრძოლო დავალებიდან დაბრუნებულ გივის წესად ჰქონია, რომ უვნებლად გადარჩენა იქვე, კლიაზმაში მცხოვრები ულამაზესი ნინა სოსეიკინას სახლის თავზე შესრულებული უმაღლესი პილოტაჟის ტრიუკებით ეცნობებინა ფრონტული სიყვარულისთვის.

ერთ-ერთი ასეთი „ტრიუკაჩობისას" შემთხვევით მისი „ისტრიბიტელის" ფრთა მაღალ ალვისხეს წამოსდებია, რითაც მანქანა მსუბუქად დაზიანებულა, გივი კი „მძიმედ" დაუსჯიათ — ხელფასიდან დაუქვითეს თვითმფრინავის რემონტის საფასური... ეს ისე, მცირე ლირიკული გადახვევა...

1944 წლის თებერვალში საკუთარი თვითმფრინავით ჩამოფრენილა თბილისში 31-ე ქარხანაში და სანამ მის თვითმფრინავს გაარემონტებდნენ, რამდენიმე დღე მადლიან ქიზიყში გაუტარებია, მოუსიყვარულებია დიდი ხნის უნახავი ნათესავები თუ მეგობრები.

თბილისში დაბრუნებულ გივის „ოტეც სალდატა" ძია მოსემ დიდი ხნის ჭოჭმანის შემდეგ მაინც შეჰბედა და გლეხურად, ქიზიყურად უთხრა — **შვილო, ე ომი საცაა გათავდება, მაგათ უშენოდაც მაუგრეხენ კისერსა, აქ ერთი ცალხელა კაცია, ფულ თუ მისცემ, „პერედავოი აკოპიდან" ამაიყავს ხალხი. შენ აქა ხარ, მოდი ცოტა ფულ მივცემ და იგეთ საბუთ გაგიკეთებს რომა...**

**— მაგას რას ამბობ, მამიი** (აღარ დაამთავრებინა თურმე გივიმ მამას სათქმელიძ, **შენს გაზრდილს ეგ როგორ გამიბედე? მე იქ ჩემი ამხანაგები მელოდებიან, სტალინს აქვს ჩემი იმედიო...**

ის ორიოდე დღე, რაც მის გამგზავრებამდე იყო დარჩენილი, ძია მოსესათვის ხმა აღარ გაუცია და, როგორც ქიზიყში იტყოდნენ, ასე, მამასთან „უმძრახათ" წასულა ფრონტზე.

1944 წლის 4 ნოემბერს გივი ჯორკოშვილს ვიღაც გენერალი უნდა წაეყვანა ფრონტის ხაზზე. მისი თვითმფრინავი კი დივერსიის გამო აფრენისთანავე აფეთქებულა და ახლა ქიზიყელი „ღიმილის ბიჭის" ნეშთი კლიაზმის სასაფლაოზე განისვენებს.

**მისგან სახსოვრად ძია მოსეს მისივე ნაჩუქარი სამხედრო ქამარი, ხოლო მამაჩემს ლამაზი ბებუთი დარჩათ. და კიდევ დეპეშები, რომელთაც გივის დაღუპვის შემდეგაც, დიდი ხნის განმავლობაში აგზავნიდა ნინა სოსეიკინა გივისთვის ჩვეული ტექსტით „ЖИВ ЗДОРОВ ЦЕЛУЮ ГИВИ"...**

**დიდ სამამულო ომში გამარჯვების მორიგ წლისთავს გილოცავთ, უპირველეს ომის ვეტერანებო, და შემდეგ სხვებსაც, ვისაც გჯერათ, რომ ის ომი, დიახაც, ჩვენი, დიდი სამამულო ომი იყო!.**

**დავით მხეიძე**

## „და თუ სტალინმა მიკითხოს, უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი"...

### დიახ, სწორედაც რომ დიდი სამამულო!



გივი ჯორკოშვილი



# ეს გამარჯვება ქართველებმაც გამოვჭედეთ!

## ცაიშიდან ცაში აფრენილი და ციდან ცაიშში გმირად დაბრუნებული...

**ამ ადამიანის გეოგრაფია ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო მთელი შემართებით, საკუთარი სიცოცხლის არად ჩაგდების ფასად, მინდობილ საქმეს. ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში დაბადებულ, მოგვიანებით კი უკვე გენერალ-მაიორ შალვა ქირიასთვის ახალგაზრდობის წლებიდანვე სამხედრო საქმე გახდა მისი ცხოვრების ანი და ჰოე და, აკი, გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისამდე, გულითადად ემსახურა კიდეც ამ საქმეს.**

შალვა ქირიას დამთავრებული ჰქონდა ამიერკავკასიის სამხედრო-მოსამზადებელი, ორენბურგის სამხედრო საავიაციო სკოლა, მფრინავ-მეთვალყურედ მსახურობდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილში... ახალგაზრდა გულადი მფრინავის სიმამაცის გამოცდა გახდა დიდი სამამულო ომის წლები და ცაიშელმა ვაჟკაცმა სამაგალითოდ ჩააბარა ყოველი გამოცდა. აქ აღარ ჩამოვთვლით, სად რა ბრძოლები გადაიტანა შალვა ქირიამ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ 1944 წლის ზაფხულიდან მან განახორციელა 189 საბრძოლო გაფრენა და საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 22 თვითმფრინავი.



საბჭოთა კავშირის გმირები: ივანე კოჟედუბი (მარცხნივ) და შალვა ქირია.

სწორედ ამ ვაჟკაცობისა და თავდადების აღმნიშვნელი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მაიორ შალვა ქირიასთვის 1944 წლის 26 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდების მინიჭებისა და ლენინის ორდენით და „ოქროს ვარსკვლავის" მედლით მისი დაჯილდოების შესახებ.

იგი ომის დამთავრების შემდეგაც განაგრძობდა სამსახურს სამხედრო-საჰაერო ძალებში... 1961 წლიდან კი გენერალ-მაიორი შალვა ქირია უკვე თადარიგში იყო. მას საბჭოთა კავშირის სამგზის გმირის, ლეგენდარული კოჟედუბის გვერდით იხსენიებდნენ, მის მამაცობას აფასებდნენ, ის კი არა, მეორედაც უნდოდათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მისანიჭებლად წარდგენა, მაგრამ შური და გაუტანლობა აქაც ჩაერიაო, ამბობს მისი ახლობელი ბატონი ოთარ ჭითანავა. ფაქტია, რომ შალვა ქირია იმ ქართველ ვაჟკაცთა გვერდით ყოველთვის მოიხსენიება, რომელთა საგმირო საქმეებს დავიწყების მტვერი არასდროს გადაფარავს.

წელს გმირი მფრინავის 100 წლისთავია.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

# ჩვენი ხელისუფლების კიდევ ერთი სირცხვილი

## სამამულო ომის ვეტერანი, აფხაზეთიდან დევნილი, 89 წლის ივანე ქვანია ზუგდიდში დღემდე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს

**კაცობრიობა ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავს ზეიმობს. ყველწლიურად მცირდება სამამულო ომის მონაწილე ვეტერანთა რაოდენობა. „ჩვენ ვინც დავრჩით, ყველანი 90 წელს მიღწეულნი ვართ, ამიტომაც გვჭირდება განსაკუთრებული ყურადღება, საარსებო მინიმუმი. ძალიან ბევრი ვეტერანი გარდაიცვალა საკვებისა და მკურნალობის სახსრების უქონლობით", — აცხადებს სამამულო ომის ვეტერანი, 89 წლის დევნილი ვანო ჟვანია, რომელიც ხელისუფლების გულგრილობის გამო დღემდე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს.**

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეის მკვიდრი ვანო ჟვანია 19 წლის იყო, როცა 1942 წლის მაისში ჯარში გაიწვიეს. ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლამ მოუწია ყველაზე სახიფათო და ყველაზე საშიშ ადგილებში, სადაც ათასობით ჩვენი თანამემამულე დაიღუპა: ქერჩი, ნოვოროსიისკი, ტამანი, ანაპა, სევასტოპოლი. ეს ის ადგილებია, სადაც 1947 წლის აპრილამდე იმყოფებოდა ომგამოვლილი ვაჟკაცი. მხოლოდ 10 დღით გამოეთიშა ბრძოლებს, როდესაც მსუბუქად დაიჭრა ყელის არეში. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო 1942 წლის ნოემბრის თვე. „საშინელი ბრძოლის გადატანის შემდეგ მიცვალებულებს ვასაფლავებდით, ჩემს წინ დროგი გაჩერდა, გავიხედე და დედაჩემი არ ვნახე? კინაღამ გავგიჟდი, როგორ მოახერხა ჩამოსვლა, ან როგორ მომძებნა დედაჩემმა, რომელმაც საერთოდ არ იცოდა რუსული ენა. მან მამაჩემის დაღუპვის ამბავიც შემატყობინა. მამაჩემი იასონ ჟვანია ჩემს შემდეგ გაიწვიეს ჯარში და 44 წლის ასაკში 1942 წლის ივნისში სტალინგრადთან დაიღუპა", — თქვა ვანო ჟვანიამ. გამარჯვების დღეს, 9 მაისს სევასტოპოლში შეხვდა, სადაც კიდევ 2 წელი დარჩა და სამხედრო ტყვეებს დარაჯობდა.

მედლებითა და ორდენებით დაჯილდოებული ვანო ჟვანია სოფელ ოხურეიში ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე ბრიგადირად მუშაობდა. 1949 წელს ცოლად შეირთო მედიკო კვეკვესკირი, რომელიც 1988 წელს გარდაიცვალა. შეეძინათ შვიდი შვილი... ამჟამად ვანო თავის ქალიშვილ ზაირასთან ერთად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს ქალაქ ზუგდიდში. „ჩემი შვილები გაბნეული არიან მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, თბილისში... ჩემი ზუგდიდში დარჩენა განაპირობა დედაჩემმა ჟენია მებონიამ, რომელმაც არ ისურვა სხვაგან წასვლა, ზუგდიდში მინდა ჩემს თვისტომთანო. დედაჩემი 2003 წელს გარდაიცვალა 100 წლის ასაკში", მითხრა ვანო ჟვანიამ.

ბატონი ვანო იხსენებს ძველ დროს, როდესაც ომის ვეტერანებს ყურადღება და მზრუნველობა არ აკლდათ. „საბჭოთა კავშირის დროს მართლაც არ გვაკლდა ყურადღება. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი ვიყავი, ვიყავი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატი, ახლა კი არავის არ ვჭირდებით, არავინ



ყურადღებას არ გვაქცევს, მე ამ ხელისუფლებას არაფერს არ ვთხოვ, გარდა ბინისა. სად და ვის არ მივმართე, რომ ჩემთვის მოეცათ თავშესაფარი, რადგან ქირის გადახდის საშუალება არ გამაჩნია. გვპირდებიან, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. ჩვენ ხომ სამამულო ომის ვეტერანები თითებზე ჩამოსათვლელი დავრჩით და მოფერება და მზრუნველობა გვჭირდება", დასძინა ბატონმა ვანომ.

თუ ხელისუფლებამ მართლაც არ იზრუნა ამ ომგამოვლილ, ფაშიზმის დამმარცხებელ ადამიანებზე, მართლაც რამდენიმე ხანში ყველა ისინი ზეციურ საქართველოში დაიმკვიდრებენ ადგილს.

ჩვენი ხელისუფლების სირცხვილი ამაზე შორს ვერ წავა!

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

# დივიზიის ქონება გადაარჩინა

**მრავალ ქართველ მეომარს შორის, რომლებიც ვალმოხდილი დაბრუნდნენ მეორე მსოფლიოს ომიდან, გადამდგარი მაიორი გიორგი ბესელაშვილიც იყო. იგი საფინანსო დარგის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი გახლდათ. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე განვლო გზა საფინანსო ორგანოების რიგითი მუშაკიდან სახელმწიფო ბანკის რაიონული განყოფილების მმართველამდე. ომის დაწყებიდან გამარჯვების დღემდე ის 224-ე ქართული დივიზიის შემადგენლობაში იბრძოდა.**



დივიზიაში გიორგი ბესელაშვილი საფინანსო განყოფილებას ხელმძღვანელობდა. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები გადაიხადა დივიზიამ ყირიმის მიწაზე, ქერჩში, გმირული შემართება გამოიჩინა და გაანთავისუფლა ქერჩი და ფეოდოსია.

როგორც დივიზიის ქართულ გაზეთ „მსროლელის" რედაქტორი, პოლიტხელი ვახტანგ სიხარულიძე თავის დოკუმენტურ მოთხრობა „ერთგულებაში" წერს, გიორგი ბესელაშვილმა მამაცობა გამოიჩინა დივიზიის გაუცემელი ხელფასების გადასარჩენად. ყირიმის ფრონტზე უთანასწორო ბრძოლების დროს, 1942 წელს, ქართულმა დივიზიამ მიიღო დიდი თანხა ხელფასის დასარიგებლად, საიდანაც ნაწილი გაიცა კიდეც, მაგრამ უმეტესი ნაწილი სეიფში დარჩა, ეგრეთ წოდებული ქვის სამტეხლოში — კატაკომბებში. მზრუნველობით დარაჯობდა დივიზიის ქონებას საფინანსო განყოფილების უფროსი, კაპიტანი გიორგი ბესელაშვილი.

გერმანელთა ერთ-ერთი შეტევის დროს შტაბთან სატელეფონო კავშირის აღსადგენად წასული ჯარისკაცები ვეღარ დაბრუნდნენ... მან გადაწყვიტა პირადად მისულიყო ოთხი კილომეტრით დაშორებულ შტაბში, მაგრამ დიდი წვალებით იქ მისულს, შტაბი ძველ ადგილზე აღარ დახვდა. ამის შემდეგ მეტად გაბედული გადაწყვეტილება მიიღო — კისერზე ჩამოიკიდა ფულით სავსე ტომარა და სატვირთო მანქანის ძარისაგან შეკრული ტივით, ტყვიების წვიმაში გაცურა ჩუშკას კონცხისაკენ. ბომბდამშენებით ნაფოტებად ქცეული ტივით მან მართლაც სასწაულად მიაღწია ტამანის ნახევარკუნძულს, სადაც შეუერთდა ყირიმის ფრონტის გადარჩენილ ქართველ მეომრებს. გიორგი ბესელაშვილმა, საკუთარი სიცოცხლის ფასად, დივიზიის ფასეულობა დაიცვა და კომისარს უკლებლივ ჩააბარა ასორმოცდაათი ათასი მანეთი და სახელმწიფო უწყისი, რომლის ასლს 28 წლის განმავლობაში ინახავდა... მერე ეს უწყისი, როგორც ძვირფასი რელიკვია, ყოფილ პოლიტხელს ვახტანგ სიხარულიძეს დივიზიის ისტორიის დოკუმენტური მასალების შესავსებად გადასცა.

ბრძოლებში თავდადებისა და კეთილსინდისიერი მოქმედებისათვის, მრავალი ჯილდოთი მკერდდამშვენებული გადამდგარი მაიორი გიორგი ბესელაშვილი ომის დამთავრების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის აღმშენებლობაში. იგი 1986 წელს გარდაიცვალა და, ბუნებრივია, ვერ მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ დარჩა ვაჟკაცობის, გამბედაობის, კეთილსინდისიერების, ქვეყნისათვის უანგარო სამსახურის საუკეთესო მაგალითად. ნათელში იყოს.

**ჯუმბერ მაღლაფერიძე**

***ისტორიული ცნობა:*** *ყველა მონაცემებით, მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან ფრონტზე გაიწვიეს 687924 კაცი. მათგან ომში დაიღუპა, მალე ჭრილობებისგან გარდაიცვალა მათი თითქმის ნახევარი. დაღუპულთა უდიდესი უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ. საქართველოს მაშინდელი მოსახლეობის პროცენტული შეფარდებით ჩვენმა ქვეყანამ ფაშიზმთან ბრძოლის ველებზე ყველაზე მეტი დანაკარგი განიცადა! და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებები არ ყოფილა!..*

*მეორე მსოფლიო ომმა 72 ქვეყანა მოიცვა და 62 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა! ომის ექო დღესაც მოუშუშებელ ჭრილობად რჩება ასეულობით მილიონების გულებში... ომი გენერლებისა და ადმირალების წოდებით საქართველოს 72 წარმომადგენელმა, აგრეთვე 364 პოლკოვნიკმა და პირველი რანგის კაპიტანმა დაასრულა!..*

# ომის უკანასკნელი დღე

ჩვენი საუბარი ომის სახელგანთქმულ გმირს, გვარდიის პოლკოვნიკ **მიხეილ გერასიმეს ძე ჩიქოვანს** ეძღვნება. შთამბეჭდავად გამოიყურება ბუდაპეშტის მე-20 გვარდიული მსროლელთა კორპუსის მეთაურის მამაცი მოადგილის საბრძოლო ჯილდოების სია: ორი წითელი დროშის ორდენი, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი, ბოგდან ხმელნიცკის, წითელი ვარსკვლავის ორდენები, ოთხი საბრძოლო მედალი, ორი უნგრეთის და ამერიკის ორდენი...

ომის ყოველი დღე თავისებურად ღირსსახსოვარი იყო, მაგრამ მისი უკანასკნელი დღე მიხეილ ჩიქოვანს სამუდამოდ დაამახსოვრდება. 1945 წლის 8 მაისს განთიადისას დაიწყო საბჭოთა არმიის უკანასკნელი შეტევა. ტანკების დამრტყმელმა სადესანტო ბრიგადამ, რომელსაც სათავეში პოლკოვნიკი ჩიქოვანი ედგა, გაანადგურა მტერი და შევიდა ავსტრიის ძველ დედაქალაქ მელკში. ომის უკანასკნელი დღის ბოლოს მე-20 გვარდიული კორპუსის ნაწილმა მდინარე ენსს მიაღწია, რომლის მეორე ნაპირს ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ასევე მე-20 კორპუსის ჯარისკაცები მოადგნენ. აი, ასეთი იყო ორივე გამარჯვებული მხარისთვის სასიამოვნო დამთხვევა, რამაც კიდევ მეტად გაზარდა ფაშისტურ გერმანიაზე საერთო გამარჯვების სიხარული საბჭოთა და ამერიკელ მეომრებში.

ამერიკელი მეომრები აღტაცებით საუბრობდნენ გმირულ წითელ არმიაზე, საბჭოთა ადამიანების მამაცობასა და თავდადებაზე. ამერიკის დელეგაცია იმ ღირსსახსოვარ დღეს – 1945 წლის 8 მაისს – სტუმრად იყო მოკავშირეებთან და გადაიღეს სამახსოვრო სურათებიც. ამერიკელებმა ბუდაპეშტის მე-20 გვარდიული კორპუსის სარდლობას შესთავაზეს, დაესახელებინათ ბრძოლებში გამორჩეული იმ თოთხმეტი საბჭოთა ოფიცრის გვარი, ვინც პირველები შეხვდნენ სამოკავშირეო ჯარებს. ყველა მათგანს საზეიმოდ გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო ჯილდოები, მათ შორის იყო გვარდიის პოლკოვნიკი მიხეილ ჩიქოვანი, ვინც პასუხისმგებელი იყო ამერიკის შეერთებული შტატების არმიასთან კონტაქტებში.

საბჭოთა სარდლობამ, თავის მხრივ, თოთხმეტი ამერიკელი მეომარი საბჭოთა ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა. საბჭოთა და სამოკავშირეო ჯარებს შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. დროდადრო ეწყობოდა გულთბილი შეხვედრები. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე კორპუსის მეთაურის მოადგილემ, პოლკოვნიკმა მიხეილ ჩიქოვანმა დააყენა საკითხი საბჭოთა მხარისთვის ფაშისტი სამხედრო დამნაშავეების გადმოცემის შესახებ, რასაც გაგებით შეხვდნენ ამერიკელი ოფიცრები.

მალე საბჭოთა მხარეს გადმოსცეს რამდენიმე გესტაპოელი და ესესელი ოფიცერი. და აი, 1945 წლის 23 მაისს პოლკოვნიკ ჩიქოვანს სადემარკაციო ხაზიდან დაურეკა ამერიკის პოლკის მეთაურმა და აცნობა, რომ მის ოფიცრებს ჩიქოვანთან მოჰყავთ ტყვე, რომელიც ამბობს, რომ არის გენერალ-ფელდმარშალი ფერდინანდ შიორნერი. მ.ჩიქოვანი უმალვე დაუკავშირდა არმიის სარდლობას, ვინაიდან კორპუსის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი ნ.ბირიუკოვი გამოძახებული იყო ბერლინში.

ადგილზე შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი კ.ნ. დერევიანკო აღმოჩნდა (მოგვიანებით, 1945 წლის 2 სექტემბერს საბჭოთა მხრიდან ამერიკულ კრეისერზე ამერიკის შეერთებული შტატების არმიის გენერალ დუგლას მაკარტურთან ერთად – სხვათა შორის, იგი ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ისტორიის მანძილზე ერთადერთი 5-ვარსკვლავიანი გენერალია – მოაწერს ხელს აქტს იაპონიის კაპიტულაციის შესახებ). ცნობა იმდენად გასაოცარი იყო, რომ დერევიანკოს ეჭვიც კი შეეპარა მის სისწორეში – ეს როგორ? დატყვევებულია ჯგუფ „ცენტრის“ სარდალი ფერდინანდ შიორნერი, ვისი დიდი იმედიც ჰქონდა ჰიტლერს და მას აკისრებდა პასუხისმგებლობას მესამე რაიხის გადარჩენაზე? ჰიტლერის სარდალს ხომ მილიონზე მეტი მებრძოლი ემორჩილებოდა.

მალე კორპუსის შტაბს, რომელიც მელკში იყო განთავსებული, მოადგა „ვილისი“, რომლითაც მოიყვანეს ტყვე. ამერიკის არმიის მაიორისა და სერჟანტების თანხლებით ის ოთახში შემოიყვანეს. ამერიკელმა ოფიცერმა დაიწყო აქტის კითხვა საბჭოთა მხარისთვის გენერალ-ფელდმარშალ შიორნერის გადაცემის შესახებ. სანამ გადაცემის აქტს კითხულობდნენ, გენერალი დერევიანკო ყურადღებით ფურცლავდა არმიის დაზვერვის სქელტანიან ალბომს, რომელშიც იყო ჰიტლერული გერმანიის ყველა მაღალი სარდლის ფოტოსურათები. გენერალი დაიხარა ჩიქოვანისკენ და უთხრა, რომ მათ წინაშე მართლაც გენერალ-ფელდმარშალი ფერდინანდ შიორნერია.

... 1945 წლის 21 აპრილს ჰიტლერის ბუნკერში მივიდა არმიის ჯგუფ „ცენტრის“ სარდალი ფ.შიორნერი. ფრონტის მის უბანზე, ჩეხოსლოვაკიაში, შედარებით სიმშვიდეა, მოახსენა მან ფიურერს. ჰიტლერი პანიკის მდგომარეობიდან ელვისებურად თავშეუკავებელ აღტაცებაში მოდის. ჰიტლერს დაავიწყდა, რომ საბჭოთა არმიის მთავარი დარტყმა სულაც არ მოდიოდა იმ მონაკვეთზე, რომელიც შიორნერის ჯარებს ეკავათ და სხვა ნაცისტ გენერლებს მას მაგალითადაც კი უჩვენებდა. მართალია, შიორნერის ჯარებსა და ბერლინს შორის უკვე არის ჩაყენებული საბჭოთა ჯარების ძლიერი საფარი, მას აძლევენ სრულიად ფანტასტიურ ბრძანებას, წამოვიდეს რაიხის დედაქალაქის დასახმარებლად.

ერთგული ნაცისტი გენერალი შიორნერი, რომელსაც ჯარისკაცებმა სიმკაცრისა და დაუნდობლობის გამო ფიურერის ყველაზე ცბიერი ბრძანებების შესრულებაში „ყასაბი“ შეარქვეს, უპასუხებს „იავოლ“ და ქუსლს ქუსლზე ურტყამს. აღფრთოვანებული ჰიტლერი შიორნერს იქვე ანიჭებს გენერალ-ფელდმარშალის უმაღლეს სამხედრო წოდებას. ჰიტლერი ბრძანებს შეკრიბონ უმაღლესი მთავარსარდლობის ყველა გენერალი და აიძულებს მათ მიესალმონ „ყველაზე ახალგაზრდა ფელდმარშალს“.

ერთგული ნაცისტი გენერალი შიორნერი, რომელსაც ჯარისკაცებმა სიმკაცრისა და დაუნდობლობის გამო ფიურერის ყველაზე ცბიერი ბრძანებების შესრულებაში „ყასაბი“ შეარქვეს, უპასუხებს „იავოლ“ და ქუსლს ქუსლზე ურტყამს. აღფრთოვანებული ჰიტლერი შიორნერს იქვე ანიჭებს გენერალ-ფელდმარშალის უმაღლეს სამხედრო წოდებას. ჰიტლერი ბრძანებს შეკრიბონ უმაღლესი მთავარსარდლობის ყველა გენერალი და აიძულებს მათ მიესალმონ „ყველაზე ახალგაზრდა ფელდმარშალს“.

ჰიტლერის თვითმკვლელობისა და ბერლინის კაპიტულაციის შემდეგ ფაშისტებმა მობილიზება გაუკეთეს ყველა შესაძლებლობას სამხრეთში წინააღმდეგობის გაწევისთვის. იმპერიის უკანასკნელი საათების წინ სახმელეთო ძალების მთავარსარდლის პოსტზე ფ.შიორნერი დანიშნეს.

ახლა კი ჰიტლერის ეს გენერალი დგას პოლკოვნიკ მიხეილ ჩიქოვანის წინ. მათმა გზებმა ორჯერ უკვე გადაკვეთა ერთმანეთი უკრაინაში. ქართველ ოფიცერს არც უფიქრია ოდესმე ეხილა მთელს ევროპაში ცნობილი ფაშისტი მეომარი. შიორნერის წინასწარ დაკითხვას მიხეილ ჩიქოვანი აწარმოებდა. ფელდმარშალი ცდილობდა, შეენარჩუნებინა ქედმაღლობა. ტრაბახობდა, რომ გერმანიის არმიაში არ არის ჯილდო, მას რომ არ მიეღოს. მორიგ შეკითხვაზე – რატომ არ დაემორჩილა თავის სარდლობას და ჯარებს არ უბრძანა კაპიტულაცია, მოგვიანებით კი დატოვა თავისი ჯგუფი და გაიქცა ალპებში...



როდესაც იხსენებდა ალპებში შიორნერის „ვოიაჟის“ შესახებ საუბარს, ჩიქოვანს უნებლიედ გაეღიმა. საქმე ასე იყო: შიორნერს თურმე ჩვეულებრივი ტურისტული ტანსაცმელი ეცვა, ეკეთა შავი სათვალე. მთებისკენ მიმავალ ბილიკებზე ის მოულოდნელად გადაეყარა ამერიკის პატრულს – ერთი თეთრკანიანი იყო, მეორე – ზანგი სერჟანტი. ეტყობა, მღელვარების გამო, მათ გვერდით გავლისას (მათ არც უცდიათ მისი გაჩერება)შიორნერმა ფეხი რაღაცას წამოკრა და ზანგ სერჟანტს დაეჯახა. მან კი პანღური ამოარტყა, ცოტა მალე გაიარეო. აქ არიელის ძარღვებში სისხლი აზოზოქრდა. შიორნერმა მკვახედ რაღაც წაიბურტყუნა, სერჟანტმა კი, ესეც შენო, კვლავ ამოარტყა პანღური. შიორნერმა სათვალე მოიგლიჯა და იყვირა: „როგორ ბედავ, ცხოველო, შენს წინ გენერალ-ფელდმარშალია“. თეთრმა ამერიკელმა თავის სერჟანტს უთხრა, მოდი, ნაწილში წავიყვანოთ, შიორნერიც რომ არ იყოს, ეტყობა, კარგი ჩიტია. ასე აღმოჩნდა შიორნერი ტყვედ ამერიკელებისა, რომლებმაც ბოლომდე მაინც ვერ გაარკვიეს, ვინ იყო იგი და თავიანთ რუს მეგობრებს გადასცეს, ვისთანაც კეთილი ურთიერთობა დაამყარეს. და აქ ბევრ რამეში „დამნაშავე“ მ.ჩიქოვანი იყო.

შიორნერი ტყვეობიდან 1955 წელს გათავისუფლდა. ცხოვრობდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, გარდაიცვალა 81 წლის ასაკში. დატოვა თავისი მემუარები, სადაც აღწერა თავისი პირველი დაკითხვა პოლკოვნიკ ჩიქოვანის მიერ.

გვარდიის პოლკოვნიკს მიხეილ ჩიქოვანს, რომელმაც მოსკოვში ჩაიყვანა გენერალ-ფელდმარშალი შიორნერი, მალე მიაგეს პატივი, მიეღო მონაწილეობა ისტორიულ გამარჯვების აღლუმში – 1945 წლის 24 ივნისს.

ომის შემდეგ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ეკონომიკის განვითარების დაჩქარებისთვის საჭირო იყვნენ, შეიძლება უფრო მეტადაც ვიდრე იმ დროს არმიისთვის, გამოცდილი სამეურნეო ხელმძღვანელები. ამიტომ უკვე 1945 წლის ოქტომბერში მ.ჩიქოვანს აგზავნიან უზბეკეთში, სადაც იმავე წლის დეკემბერში ირჩევენ უზბეკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილედ მრეწველობის დარგში, მალე კი – ტაშკენტის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

უზბეკეთი, ტაშკენტი – მიხეილ ჩიქოვანის ცხოვრებაში ეს ცალკე დიდი თემაა. მოვიყვან ერთ მაგალითს. უსმან იუსუპოვი, ვისაც დიდად აფასებდა ი.ბ.სტალინი და მას „აღმოსავლეთის ბელადს“ უწოდებდა, სულს არ იშურებდა მიხეილ ჩიქოვანისთვის. იუსუპოვს თავისი რესპუბლიკის მცხოვრებლებისთვის არაერთხელ დაუსახელებია ქართველი მიხეილ ჩიქოვანი, როგორც უპატიოსნესი, თავისი საქმის უზადო მცოდნე ადამიანი, სანიმუშო ორგანიზატორი. უზბეკეთში ჩიქოვანს ავალებდნენ ყველაზე რთულ, ძნელად შესასრულებელ ამოცანებს, და ისიც ყოველთვის ბრწყინვალედ ართმევდა თავს საქმეს. ეს იყო სამრეწველო, სატრანსპორტო ობიექტების მშენებლობა, სამშენებლო ინდუსტრიის და ა.შ. განვითარების ღონისძიებანი თუ სხვა დავალებანი.

ხელთ მაქვს ჟურნალ „ოგონიოკის“ 1947 წლის ნოემბრის 46 ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებულია ნარკვევი სახელწოდებით „ტაშკენტი“. მასში საუბარია ჩვენს სახელოვან თანამემამულეზე: „მიხეილ ჩიქოვანს, პარტიის ტაშკენტის საქალაქო კომიტეტის მდივანს, ადრე ლ.მ.კაგანოვიჩის სახელობის ქარხნის მუშას, რომელმაც გაიარა მთელი ომი ჯერ დივიზიის მეთაურის მოადგილედ, მოგვიანებით კი დიდი არმიული შენაერთის მეთაურის მოადგილედ, ზოგჯერ უყვარს განთიადისას, როდესაც ამთავრებს თავის დიდ სამუშაო დღეს, მანქანით შემოიაროს ტაშკენტი.

„ნუ იჩქარებ, – ეუბნება ის მძღოლს, – ნელა იარე“. და მანქანაც მიდის ამ ადრეულ დილის საათებში ცარიელ ქუჩებსა და პროსპექტებზე.

მკვრივ, მხარბეჭიან, ენერგიულ ადამიანს, ვისაც ცნობს მთელი ქალაქი, სახე ქარისთვის მიუშვერია, ღია სარკმელში რომ უბერავს, და ათვალიერებს ქუჩებსა და შენობებს. ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ამჩნევს, არაფერი რჩება უყურადღებოდ. ქალაქი დიდია, აქ პრობლემებს რა გამოლევს. დრო კი ყოველთვის არ ყოფნის, თუმცა ბატონი მიხეილი მუშაობს ბევრს დასვენების დღეების გარეშე“.

65 წელი გავიდა მას შემდეგ, მიხეილ ჩიქოვანის კეთილი საქმეები კვლავ ახსოვთ უზბეკეთში. პირველი ტროლეიბუსიც ტაშკენტში მან გაიყვანა.

1950 წლის სექტემბერში მ.ჩიქოვანი გადაჰყავთ მოსკოვში, ერთი წლის შემდეგ კი მუშაობას იწყებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში. 1953 წლის დეკემბერში მას ირჩევენ პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, ორი წლის შემდეგ კი – აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. თითქმის 15 წელი იმუშავა ბატონმა მიხეილმა აფხაზეთში, არ დაუშურებია ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის მთელი თავისი გამოცდილება, ნიჭი და ადამიანისადმი ჭეშმარიტად რაინდული სიყვარული ავტონომიური რესპუბლიკის კეთილდღეობისა და აყვავებისთვის. აფხაზეთში მისი მოღვაწეობის დროს აიგო უამრავი საცხოვრებელი შენობა, კეთილმოეწყო სოხუმის მთა, გაიყვანეს სანაპირო ქუჩა, გაშენდა პარკები და ბაღები, სკვერები და ხეივნები, მთელი ძალით ამოქმედდა მრეწველობა, აყვავდა სოფლის მეურნეობა, ახალ სიმაღლეებს მიაღწია აფხაზეთის ეროვნულმა ხელოვნებამ და კულტურამ. ამას აღიარებენ აფხაზეთის ძველი მცხოვრებლები – დღესაც კი!

მახსოვს, 1992 წლის სექტემბრის ამწუხარო დღეებში – სოხუმში ინტერვიუს ვიღებდი ტატიანა გულიასგან. დიდი აფხაზის დიმიტრი გულიას ქალიშვილმა, რომელსაც ვთხოვე მოგონებები მიხეილ ჩიქოვანზე, რომელთან მუშაობის ბედნიერებაც მქონდა 5 წლის განმავლობაში (იგი იყო აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების სახელმწიფო კომიტეტში (მ.ჩიქოვანი იყო კომიტეტის თავმჯდომარე, მე – ინფორმაციის სექტორის გამგე), ძალიან თბილად გაიხსენა მ.ჩიქოვანი, წყნარად და მისადმი პატივისცემით მიპასუხა: „მე მგონია, დღესაც კი შეუძლებელია ჩამოთვალო ყველა ის კეთილი საქმე, რაც მიხეილ ჩიქოვანმა მოასწრო, გააკეთებინა აფხაზეთისათვის. ის იყო მაღალი ღირსების, წესიერი, უბრალო ადამიანი. აფხაზეთში ის უყვარდათ და პატივს სცემდნენ...“

ომის ჩვენი გმირის დამსახურება მართლაც დიდია, ოცი წლის განმავლობაში მ.ჩიქოვანი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 5 მოწვევის დეპუტატი! მრავალგზის იყო არჩეული უზბეკეთის, აფხაზეთის, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დეპუტატად. ის იყო საბჭოთა კავშირის სამი ქალაქის საპატიო მოქალაქე. ჩვენ უამრავი წერილი მოგვდიოდა, მას წერილებს სწერდნენ, ულოცავდნენ მუშები და სკოლის მოსწავლეები, ომისა და შრომის ვეტერანები, ყოფილი თანამშრომლები, მწერლები, მეცნიერები, პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები.

მხოლოდ ერთხელ ჩემთან საუბრის დროს (ასეთი საუბრები კი არ გვაკლდა) მიხეილ ჩიქოვანმა თავისი მძიმე ბავშვობა გაიხსენა. დედა (ის გურული იყო) ადრე გარდაეცვალა, როდესაც მიხეილი შვიდი წლისაც არ იყო, მალე მამაც დაეღუპა. ასე რომ, ბედისწერით, ის ბავშვობიდან შეეჩვია შრომას და დამოუკიდებლად შეეჭიდა ცხოვრებას!..

ომის ჩვენი გმირის დამსახურება მართლაც დიდია, ოცი წლის განმავლობაში მ.ჩიქოვანი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 5 მოწვევის დეპუტატი! მრავალგზის იყო არჩეული უზბეკეთის, აფხაზეთის, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დეპუტატად. ის იყო საბჭოთა კავშირის სამი ქალაქის საპატიო მოქალაქე.

მიხეილ ჩიქოვანი 1979 წლის 27 ივნისს გარდაიცვალა. ის პატივით დაკრძალეს საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. საქართველოს სახელოვანი შვილი უკანასკნელ გზაზე გააცილეს საქართველოს ხელმძღვანელებმა და მთავრობის წევრებმა, დელეგაციებმა უზბეკეთიდან, აფხაზეთიდან, მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან.

2012 წლის 23 აპრილს მიხეილ ჩიქოვანს 100 წელი შეუსრულდებოდა. ამბობენ, დრო წარსულს შლისო, რომ მიმავალ დღეებთან ერთად ფერმკრთალდება მეხსიერებაცო. თუმცა გულის ხსოვნა – მარადიულია! და ამის დასტურია ჩვენი დღევანდელი ნარკვევის გმირის მსგავსი ადამიანები. საკმარისია გაიხსენო მიხეილ ჩიქოვანი და – სული გინათდება, ცოტა სევდაც გემატება, რომ მიდიან ასეთი ადამიანები, შემცვლელები კი არ არიან. თითოეული ჩვენგანი ხომ განუმეორებელია, განსაკუთრებული...

**ლევან დოლიძე,**
საქართველოს
დამსახურებული ჟურნალისტი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვინ არის ფრანსუა ოლანდი

**საფრანგეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს – სოციალისტი ფრანსუა ოლანდი, რომელმაც არჩევნების მეორე ტურში დაამარცხა მოქმედი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. მან ხმების სამზე მეტი პროცენტით აჯობა მეტოქეს და, 20 წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ, საფრანგეთის პირველი სოციალისტი ლიდერი გახდა.**

ფრანსუა ოლანდი არაფრით გამორჩეული არ არის – არც გარეგნობით, არც მანერებითა და არც კარიერის თვალსაზრისით. საკუთარ თავზე ამბობს ხოლმე, „მისტერ ნორმალი“ ვარო. და მაინც, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგებით, სწორედ ის აირჩიეს საფრანგეთის პრეზიდენტად. ოლანდმა ასე მიმართა ბასტილიის მოედანზე შეკრებილ მომხრეებს:

„თქვენ აქ მოსული უზარმაზარი მასა ხართ. არ ვიცი, გესმით თუ არა ახლა ჩემი, მაგრამ მე თქვენი გავიგონე. მე გავიგონე, რომ ცვლილება გსურთ. ვგრძნობდი თქვენს ძალას, თქვენს იმედს და მინდა ყველა თქვენგანს მადლობა გადავუხადო. გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ, საფრანგეთის აქ შეკრებილო ხალხო, რომელმაც შესაძლებლობა მომცა, რესპუბლიკის პრეზიდენტი გავმხდარიყავი.“

არჩევნების პირველ – 22 აპრილს გამართულ - ტურში ფრანსუა ოლანდმა მცირე უპირატესობით აჯობა მოქმედ პრეზიდენტს. სხვათა შორის, ნიკოლა სარკოზის ნათქვამი აქვს, რომ საერთოდ წავა პოლიტიკიდან, თუკი 6 მაისის არჩევნებში დამარცხდება...

და მაინც, რით იზიდავს ოლანდი ფრანგ ამომრჩევლებს? ფრანგი ჟურნალისტის, საფრანგეთის ყოველკვირეული „ლექსპრესის“ რედაქტორის კრისტიან მაკარიანის დაკვირვებით, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ სარკოზი არ არის.

„ჩემი აზრით, ფრანსუა ოლანდის შესაძლო გამარჯვება უნდა მივიჩნიოთ სარკოზის პოლიტიკის უარყოფად. სანამ საერთოდ დავიწყებდეთ ფრანსუა ოლანდის პიროვნების გაანალიზებას, უნდა ითქვას, რომ სოციალისტი კანდიდატის სასარგებლოდ მოქმედებს ნიკოლა სარკოზის საქმიანობით და მისი პიროვნებით მოყირჭება, რაც საზოგადოებაში შეინიშნება, და მეტიც, შესაძლოა, მისი ხელაღებით უარყოფაც კი“, – უთხრა ფრანგმა ჟურნალისტმა ჩვენი რადიოს კორესპონდენტს, კლერ ბიგს, არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე.

თვით ოლანდი არჩევნებს მოიხსენიებს „უარის თქმად პრეზიდენტზე“, რომელმაც ცხოვრების ექსტრავაგანტური სტილით და შეუსრულებელი დაპირებებით თავი მოაბეზრა ბევრ ამომრჩეველს. წინასაარჩევნო კამპანიაში, ლოზუნგით „ცვლილება ახლა ხდება“, მნიშვნელოვანი თემა იყო „სამართლიანობაც“ – ოლანდმა პირობა დადო, რომ ერთი მესამედით შეამცირებს პრეზიდენტის ხელფასს და გააუქმებს იმუნიტეტს, რომელიც სამართლებრივი დევნისაგან იცავს სახელმწიფოს პირველ პირს.




ისეთი ენერგიული ჟესტიკულაციით გამორჩეული და, საზოგადოდ, თვალშისაცემი ფიგურის გვერდით, როგორიც ნიკოლა სარკოზია, ფრანსუა ოლანდი უფერული ჩანს – ბევრს მისი გამოსვლები მოსაწყენად მიაჩნია. მაგრამ აქებენ ოლანდის შრომისუნარიანობას – უწინარეს ყოვლისა, მონდომება და დისციპლინაა ის, რასაც სარკოზის კონკურენტი უმაღლის შთამბეჭდავ კარიერას სოციალისტურ პარტიაში. სხვათა შორის, პრეზიდენტობის ყოფილი სოციალისტი კანდიდატი სეგოლენ რუაიალი და ფრანსუა ოლანდი თითქმის 30 წელი იყვნენ წყვილი – მათ ოთხი შვილი ჰყავთ, მაგრამ არასოდეს დაქორწინებულან.

ეკონომიკის სფეროში ოლანდის გამოუცდელობის მიუხედავად, საფრანგეთში ის ბევრს მიაჩნია სანდო მენეჯერად, რომელიც შეძლებს სიძნელეების დაძლევას. სიძნელე კი ბევრია: სარკოზის პრეზიდენტობის პერიოდში სახელმწიფოს ვალებმა მთლიანი ეროვნული პროდუქტის 90 პროცენტს მიაღწია, უმუშევართა რიცხვმა – 3 მილიონს, რაც 1999 წლის შემდეგ სარეკორდო მაჩვენებელია და რამაც მნიშვნელოვნად შეარყია სარკოზის პოპულარობა. რეცესიიდან საფრანგეთის გამოსაყვანად ფრანსუა ოლანდი საჭიროდ მიიჩნევს არა მომჭირნეობის ზომებს, არამედ ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობას და პირობას დებს, რომ ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის.

**მარიამ ჭიაურელი,**
რადიო „თავისუფლება“

# პუტინმა დსთ-ს ქვეყნების ლიდერებს და საქართველოს ხალხს გამარჯვების წლისთავი მიულოცა

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გაუგზავნა მილოცვები დსთ-ს ქვეყნების, აფხაზეთის, სამხრეთი ოსეთის ლიდერებს და საქართველოს მოქალაქეებს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 67-ე წლისთავთან დაკავშირებით, იტყობინებოდა სამშაბათს კრემლის პრესსამსახური.**

პუტინის მილოცვაში აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევისადმი ნათქვამია: „დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გამოწრთობილ მეგობრობას, ტრადიციას და ურთიერთდახმარებას, ნდობას კვლავაც მყარი საფუძველი ექნება რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ტრადიციული პარტნიორული ურთიერთობების შემდგომი განვითარებისთვის. ჩვენს ხალხებს 1941-1945 წლებში მოუწია მძიმე გამოცდა, რომელიც მათ ღირსეულად ჩააბარეს. ჩვენს მეხსიერებაში საუკუნოდ იცოცხლებს მათი გმირობა – მამაცობისა და უბადლო პატრიოტიზმის ღირსეული მაგალითი. მათ გმირულად დაიცვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, შეიტანეს გადამწყვეტი წვლილი მსოფლიოს ფაშისტური დამონების საფრთხისგან თავდასახსნელად“.

სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარქისიანის მისამართით გაგზავნილ მისალმებაში პუტინმა გამოთქვა რწმენა, რომ რუსეთისა და სომხეთის მოქალაქეები, აგრეთვე დსთ-ს მონაწილე ყველა ქვეყანა „ყოველთვის წმინდად დაიცავენ ფრონტის მებრძოლებისა და ზურგის მშრომელთა თავდადებულობას, რომლებმაც მოიპოვეს სამშობლოს თავისუფლება, შეიტანეს გადამწყვეტი წვლილი ევროპისა და მსოფლიოს გადარჩენაში ფაშიზმისგან. მეგობრობისა და ურთიერთნდობის ძველი ტრადიციები, მჭიდრო ძმური კავშირურთიერთობანი, ღრმა პატივისცემა ვეტერანებისადმი განსაზღვრავენ რუსეთ-სომხეთის სამოკავშირეო და პარტნიორულ ხასიათს. ამჟამინდელ თაობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ეფექტიან განმტკიცებაში“.

პუტინმა ასევე მიულოცა ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს, რომელშიც აღნიშნა, რომ „ჩვენ ყოველთვის დავრჩებით გადაუხდელ ვალში დიდი სამამულო ომის გმირების წინაშე. გასაოცარი მამაცობით, პატრიოტიზმითა და თავგამოდებით დაიმსახურეს მათ სამუდამო ხსოვნა ჩვენს გულებში. გამარჯვება მოპოვებული იქნა არა მხოლოდ იარაღის ძალით, არამედ ხალხთა ერთიანი ნებით, მათი გადაწყვეტილებით მხარდამხარ იბრძოლონ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის“.

პუტინმა ასევე გაუგზავნა მილოცვა საქართველოს ხალხს, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან რამდენი დროც უნდა გავიდეს, 9 მაისი სამუდამოდ დარჩება რუსეთისა და საქართველოს ხალხებისთვის საერთო სიამაყისა და ხსოვნის დღედ“.

„როდესაც მხარდამხარ იბძოდნენ ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ჩვენმა მამებმა და პაპებმა მოიპოვეს თავისუფლება და მშვიდობა შთამომავლებისთვის. ჩვენ ყოველთვის პატივს მივაგებთ გამარჯვებულთა გმირობას, დავიცავთ სიმართლეს ომის შესახებ, გადაჭრით აღვკვეთავთ ისტორიის დამახინჯების ან ხელახლა გადაწერის მცდელობებს. უმაგალითო გმირობა, რომელიც გამოვლინდა ომის მკაცრ წლებში, კვლავაც იქნება ზნეობრივი ორიენტირი ახალგაზრდა თაობებისთვის, რუსეთ-საქართველოს მეგობრობის და კეთილმეზობლობის შენარჩუნებისა და ტრადიციების გამრავლების მყარ საფუძველი“, – დაწერა რუსეთის ლიდერმა.

„გამარჯვების ამ წმინდა დღეს მინდა გამოვთქვა ღრმა სიმპათიები დიდი სამამულო ომის ვეტერანებისადმი, გადავცე მათ ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის თბილი სურვილები, მთელ ქართველ ხალხს კი ვუსურვო მშვიდობა და აყვავება“, – ნათქვამია მიმართვაში.

პუტინმა მიულოცა ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს, ყირგიზეთის პრეზიდენტს ალმაზბეკ ატამბაევს...

მოლდოვის პრეზიდენტ ნიკოლაი ტიმოფტისადმი გაგზავნილ მილოცვაში პუტინმა გამოთქვა რწმენა, რომ „მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის, რომელიც გამოიწრთო ომის მძიმე წლებში, კვლავაც მყარი საფუძველი იქნება რუსეთ-მოლდოვის თანამშრომლობაში, როგორც ორმაგ ფორმატში, ისე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში.

თურქმენეთის პრეზიდენტ გურბანგული ბერდიმუხამედოვისადმი გაგზავნილ მილოცვაში რუსეთის პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ამჟამინდელ თაობათა ვალია, წმინდად დაიცვან იმ საშინელ ომში დაცემულთა ნათელი ხსოვნა, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა რუსეთ-თურქმენეთის ტრადიციული მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისთვის.

უზბეკეთის პრეზიდენტ ისლამ კარიმოვისადმი გაგზავნილ მილოცვაში პუტინმა გამოთქვა რწმენა, რომ ერთობლივი ისტორიისადმი პატივისცემა, კეთილი განწყობა თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისთვის კვლავაც საიმედო საფუძველი იქნება რუსეთისა და უზბეკეთის სტრატეგიული მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცების გზაზე.

თავისი უკრაინელი კოლეგის ვიქტორ იანუკოვიჩისადმი გაგზავნილ მილოცვაში რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „ამ ნათელი დღესასწაულის დღეებში ჩვენ ღრმა პატივს მივაგებთ ჩვენს მამებსა და პაპებს, რომლებმაც მსოფლიო ნაციზმისგან გადაარჩინეს“.

„ჩვენ გვაერთიანებს საერთო მწუხარება უდიდესი მსხვერპლის გამო ამ ომში, სიამაყის გრძნობა ფრონტის მებრძოლებისა და ზურგის მშრომელთა ისტორიული გამარჯვებისთვის, რამაც გამარჯვების დღე მოგვიტანა. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთ-უკრაინის მეგობრობა, რომელიც გამოიწრთო დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, კვლავაც იქნება მყარი საფუძველი კეთილმეზობლობისა და სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცებისთვის ჩვენს ქვეყნებს შორის, გახდება მაგალითი ამჟამინდელი და მომავალი თაობებისთვის“, – ასევე ხაზგასმით აღნიშნა მან.

სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვისადმი გაგზავნილ მილოცვაში პუტინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ „9 მაისი არის ჩვენი საერთო ისტორიის სახელოვანი თარიღი“, ვინაიდან ამ დღეს „განსაკუთრებული მადლობის გრძნობითა და სიამაყით ვიგონებთ მათ, ვინც მკაცრ გამოცდას გაუძლო ფაშიზმთან ბრძოლის დროს მშვიდობის და თავისუფლების სახელით“.

„დარწმუნებული ვარ, რომ საბრძოლო ძმობის ტრადიციები იქნება საიმედო საფუძველი რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისთვის“, – ასკვნის პუტინი.

ვლადიმერ პუტინმა ადრე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მილოცვის დეპეშები გაუგზავნა დსთ-ს წევრი სახელმწიფოების და აფხაზეთის მთავრობათა ხელმძღვანელებს, მადლობა გადაუხადა მათ კონსტრუქციული ერთობლივი მუშაობისა და ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობისთვის.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ნეთანიაჰუ და ოპოზიციური „კადიმა“ ჩამოაყალიბებენ ისრაელის მთავრობას**

ამასთან დაკავშირებით ვადამდელი არჩევნები არ გაიმართება. წინა დღით ისრაელის პრემიერმა განაცხადა ვადამდელი პარლამენტის არჩევნების აუცილებლობის შესახებ „ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის უსწრაფესი სტაბილიზაციის მიზნით“.

* * *

**კალიფორნიაში 92 წლის პენსიონერი მასწავლებელი ყიდდა წამლების ნაკრებებს თვითმკვლელებისთვის**



აღსანიშნავია, რომ სასჯელი მან მიიღო არა ასეთი ამორალური საქციელისთვის, არამედ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის. ჰაიდორნმა აღიარა, რომ თავად „აგროვებდა“ ამ კომპლექტებს სახლში და ყიდდა მათ 40-დან 60 დოლარამდე, ყველაზე ხშირად ღებულობდა დაკვეთებს ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით.

* * *

**სირიაში დამთავრდა პარლამენტის არჩევნები**



ხელისუფლების მონაცემების თანახმად, ხმის მიცემა გაიმართა ამომრჩეველთა საკმაოდ მაღალი აქტიურობით. არჩევნებზე გამოცხადების ზუსტი პროცენტი ჯერჯერობით უცნობია. ამჟამად ქვეყნის ყველა პროვინციაში მიმდინარეობს ხმების დათვლა.

* * *

**დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ გახსნა „ალ-ქაიდის“ შეთქმულება: იგი კვლავ აპირებდა ამერიკული ლაინერის აფეთქებას**

ასეთი გეგმა ჰქონდა ერთ-ერთ დაჯგუფებას იემენში. ტერორისტული აქტის პოტენციურ შემსრულებელს ევალებოდა თავად განესაზღვრა შეტევის დრო, აგრეთვე კონკრეტული რეისი. ასაფეთქებელი მოწყობილობა მას უნდა დაემალა თავის ტანსაცმელში. გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ აპრილის ბოლოს ობამას აცნობეს ტერორისტების მცდელობის შესახებ აეფეთქებინათ თვითმფრინავი.



კვალი დროში

# ერთგული, უღალატო მეგობარი

## გენერალი ანზორ მაისურაძე 75 წლისაა



**„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“, — აკაკი წერეთლის ეს გენიალური ალეგორია ზუსტად შეესატყვისება ბატონ ანზორ მაისურაძის ცხოვრებისეულ მრწამსს.**

ბატონმა ანზორმა, საქართველოს გენერალიტეტის აღიარებულმა წარმომადგენელმა, პროფესიონალმა და ნიჭიერმა ორგანიზატორმა, უშიშროების სპეცსამსახურებში ლეიტენანტობიდან გენერლობამდე, ოპერრწმუნებულიდან დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს უშიშროების მინისტრამდე ურთულესი, ათასგვარი პერიპეტიებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე, ამასთანავე, საინტერესო გზა განვლო. საიდუმლო სამსახურის ურთულესი იერარქიის ყველა საფეხურზე, ქვეყნის გარეთ და სამშობლოში, ღვაწლმოსილი მამულიშვილის, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ნიადაგ მებრძოლის, ერთი მხრივ, მკაცრი და მომთხოვნი, ამასთანავე, თბილისის (ვაკისძ კოლორიტის, სიკეთით სავსე, ყველას დამხმარე და მეგობრის მხარში მდგომი, თბილი, ერთგული, უღალატო, ჭირსა და ლხინში საიმედო კაცის სახელი დაიმკვიდრა.

ბატონი ანზორის და მისი სათნოებით აღსავსე მეუღლის, ქალბატონი შუქურა თალაკვაძის ცხოვრების წესი ამაღელვებელი ნუმუშია იმისა, რომ არაფერია შვილებისა და შვილიშვილების სიყვარულზე წმინდა და უანგარო. ამის დასტურია ფანატიკური მზრუნველობა გიგას ოჯახის, პატარა საქალბატონე ელისაბედისა და ეკატერინესადმი. შვილის, დათო მაისურაძის ტრაგიკულად დაღუპვის გაუნელებელმა მწუხარებამ ამ ფიზიკურად და სულიერად ულამაზეს წყვილს დაავიწყა ყოველივე პირადული, შვებას იმაში ხედავენ და მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რომ 15 წლის მანძილზე, ყოველდღიურად ჩუმად ლოცულობენ შვილის საფლავზე. მათ შორის გაბმული ეს ყოველდღიური უხილავი ძაფები, ღვთიური სიყვარულის მარადისობის დასტურია.

დღემდე გვხიბლავს მისი გამორჩეული სიყვარული და მზრუნველობა მშობლიური რაჭისადმი, ონისა და ამბროლაურისადმი, დედულეთი ღვარდიასა და მდინარე შარეულასადმი.

დღეს დიდი გამარჯვების დღეა. ჩვენ ქედს ვიხრით ჩვენი მამების გმირობის წინაშე და გვეამაყება, რომ ამ დღეს დაბადებულ მამულიშვილს, გენერალ ანზორ მაისურაძეს 75 წლის იუბილეს ვულოცავთ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ ბატონო ანზორ ამბროსის ძევ!

მეგობრების სახელით,

**ზურაბ ერქვანია, თევდორე ბარკალაია, გოჩა გუნიავა, ანგი ჯანელიძე, ავთანდილ სილაგაძე, ავთანდილ გელავა, გელა სულაძე.**

ომგამოვლილის მუზა

# „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..“



**რაფიელ ერისთავის ეს უკვდავი სიტყვები ზედგამოჭრილია ეპიგრაფად შოთა კოხტაშვილის იმ ლექსებისთვის, რომელთაც დღეს ჩვენს მკითხველთ ვთავაზობთ. შოთა კოხტაშვილი, ამჟამად უკვე 90 წლისა, იმ ქართველთა თაობის სახელოვანი წარმომადგენელია, რომელთაც „მეჭზე არწივი ეხატათ“, „ცხრამეტისანი შესრულდნენ, ოცი არ გადაეხადათ“ და რაიხსტაგის კედლებამდე მისდიეს მტერს. ომის შემდეგ კი ისე მოხდა, რომ რუსეთში დაოჯახდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია სამშობლოზე ფიქრი და სამშობლოსთან კავშირი. პროფესიით ისტორიკოსია. ფესვებით ბარაქიანი კახეთის შვილია და როგორც ყველა ქართველი, ლექსის ტრფიალია, რაც ცხადად ჩანს დღევანდელი პუბლიკაციითაც...**

**მაშ, მოვუსმინოთ თითქმის საუკუნეს მიღწეულ შოთა კოხტაშვილს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ კაცის გული მართლაც არ ბერდება, მით უმეტეს, ლექსის ტრფიალი გული.**

### მოსკოვში ვარ და!

მოსკოვში ვარ და
დამტანჯა დარდმა,
საქართველოსკენ მიცქერს თვალები,
მის მზე და მთვარეს,
მის არემარეს
მის ხალხს, მის მიწას ვენაცვალები.
კრემლის ელიტა
გულს მოერიდა,
მის ვერაგობას არ აქვს საზღვარი,
მისმა მოქცევამ
ნდობა მოცელა,
გულში აანთო სულ სხვა ხანძარი.
სოხუმს და ცხინვალს,
ქალაქებს მზიანს,
სისხლით მთვრალებმა გადააბიჯეს,
ძმანი ოსები
და აფხაზები
ბრმად-ყრუდ აქციეს, გადააჯიშეს.
ისმის გოდება, ბოღმა გროვდება,
ძმები ძმებისგან ითხოვენ შველას,
საფრთხეში არი ჩვენი სახლ-კარი.
გაიგოს ყველამ, ესმოდეს ყველას,
გვეყო მოთმენა,
ჩვენც ვიცით კბენა,
ალგეთს მგლის ლეკვნი ილესენ კბილებს
ძმა-ძმისთვისაო — გასაჭირსაო,
ასე სჩვევიათ ივერთა შვილებს.
მეც არ დავდგები, მწყობში ჩავდგები,
რომ საქართველოს მეც ვიქცე ფარად,
ღმერთო, ახარე
ქართველთა მხარე,
ამას ვლოცულობ მარად და მარად.

**2008 წლის აგვისტო.**

### მე საქართველო

მე საქართველო,
მისი მთა-მდელო
გულის ფიცარზე დამიხატია,
ჩემი მამული,
წმინდანად თქმული,
ჩემი ღმერთი და ჩემი ხატია.
ქართველის ძე ვარ
და მუდამ მხნედ ვარ,
ჩემს წინაპართა მუდამ მლოცავი,
მწამს მეგობრობა,
არა მწამს მტრობა,
ზემავალი ვარ — არა მცოცავი.
ქართვლის ძეობა და ქართველობა
საამაყოა — მეამაყება,
ეს სიამაყე გულს დავიმარხე
და სადაც წავალ, იქ თან დამყვება.
იქ თან დამყვება მაღალი მცნება,
მცნება სამშობლოს სიყვარულისა.
არ გარდვიქმნები,
ვარ და ვიქნები
მირონცხებული ქართულ რჯულისა,
ქართულ რჯულისა
ხორცით, სულითა,
საქართველოზე შეყვარებული.
ქათულმა მიწამ
დამფაროს მინდა, —
ესღაა ჩემი სანატრებელი.

### წუხელ რომ სიზმარი ვნახე

წუხელ რომ სიზმარი ვნახე,
ნეტავი ამიხდებოდეს, —
ქართველი, ოსი, აფხაზი
კვლავ ძმობდნენ, შერიგდებოდნენ.
ერთად შრომობდნენ, ღრეობდნენ
და ძმობას ეფიცებოდნენ,
გართობაში და სიტკბოში
ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.
ამაზე კარგი რა არი!
სიყვარულით ვერ ძღებოდნენ,
ღმერთო, აქციე ცხადადა, —
სიზმარი ამიხდებოდეს.

### ქართველ ჯარისკაცს

ქართველ ჯარისკაცს,
მგზნებარე ვაჟკაცს,
ღიმილიანს და ნებისყოფიანს,
ალალს, ჯიგრიანს,
გულმშვიდობიანს,
გრძნობიანსა და ჯანით გოლიათს
ვუყურებ რწმენით,
თავმოწონებით
და გულში ტკბილად ვეალერსები
უფრო ტკბებიან,
უფრო თბებიან
ჩემი სიტყვები, ჩემი ლექსები.
ქართული ჯარი...
სულ სხვა რამ არი
ქათული ჩვევა და ტრადიცია,
იციან ძმობა
და მეგობრობა,
მტერთან კი მტრობაც კარგად იციან.
დიდების გზებით,
რწმენით, მოთმენით
გევლოთ, ქართველო ჯარისკაცებო,
ჩემო შვილებო, შვილიშვილებო, —
ქალიშვილებო, ვაჟიშვილებო.
წინ მოგიძღვებათ ის, ვინც გჭირდებათ, —
ორბის თვალები ფარსმან ქველისა,
ცოტნე, გუბაზი,
სულ ბუმბერაზნი,
ნათელი სახე თევდორ მღვდელისა,
ხერხეულიძეთ
სიმტკიცე იძმეთ,
არაგველები იმაგალითეთ...
გმირთა ქართველთა
სახელ-დიდება
გულით ატარეთ, გულში გარითმეთ.
უხსოვარ დროდან
ქართველთა შტოდან
რამდენი მართლაც უკვდავი გახდა,
სამშობლოსათვის თავდადებულნი
იყვნენ, არიან, ჩნდებიან ახლაც...
და გვაქვს იმედი,
ქართველთა ბედი
ღმერთმა დალოცა, აღმობრწყინდება,
დრო თამარისა,
ოქროს ხანისა
საქართველოში კიდევ დადგება.

### მონოლოგი პატარა ქართველი ბიჭისა, რომელიც საზღვარგარეთ დაიბადა და იქ იზრდება

მე დავიბადე
სამშობლოს გარეთ,
ასე ინება ბედის სიმწარემ,
იმედად მრჩება
ქართული ჩვევა
და ქართველობა, მე რაც ვიწამე.
ო! როგორ მინდა,
წმიდათაწმიდა
ვნახო სამშობლოს ტურფა ველები, —
წმინდა სიონი,
კავკასიონი,
ბაღ-ვენახები, ვიწრო ხევები.
მე ასე მინდა —
გავიზრდები და
სამშობლოსაკენ მთებს, ზღვებს გავივლი,
სამშობლოს მიწას
ვემთხვიო მინდა, —
ეს არის ჩემი გულის წადილი.
მტკვარსა და რიონს,
ალაზანს, იორს,
ენგურს, ყვირილას დავეწაფები;
ავაგიზგიზებ
წინაპართ კერებს,
ჩემს ქართველ და-ძმებს დავენახვები.
მეც საქართველო
უნდა ვაშენო,
კავკასიისკენ მიზიძგებს სისხლი,
მინდა ჩავეკრა,
მინდა, რომ გავძღე
ჩვენი ჰაერ-წყლით, ქართული მიწით.
„ჰკა მაგას!“ — ვიტყვი
და, ერთი სიტყვით,
ქართულ ანბანსა ვისწავლი კარგად,
სამხრეთის სითბოს
და ქართულ სიტკბოს
ჩემს გულში როგორც ალვისხეს დავრგავ!
ნატვრა ახდება,
ეს დროც დადგება,
ჩემი სანთლები აინთებიან, —
ჩემი შვილები,
შვილიშვილები
საქართველოში დაიზრდებიან.
და დავიხსომოთ, —
ტკბილად ვიცხოვროთ,
ჩვენ ქართველები ძმები, დები ვართ,
ძველთა სიმღერებს
კვლავ დავიმღერებთ, —
„ვინც კარგები ვართ, ქართველები ვართ“.

**შოთა კოხტაშვილი**



ევრო – 2012




# ეს კაცბურთია

**დიახ, არ დაგაბნიოთ წერილის სათაურმა, რადგან, მართალია ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოასპარეზე საქართველოს ნაკრებს ორი თამაშის შემდეგ მხოლოდ 1 ქულა აქვს, მაგრამ ალალად უნდა ითქვას, რომ როგორც არ უნდა დასრულდეს ჯგუფური რაუნდი, ვასილ მაისურაძის შეგირდები სამშობლოს თავაწეულნი დაუბრუნდებიან.**

**ჭეშმარიტად, ჭაბუკური ასაკის მიუხედავად, ისინი უკვე კაცები არიან!**

**„ა“ ჯგუფი. I ტური.** საქართველო-გერმანია 0:1 (მაიერიძ, საფრანგეთი – ისლანდია 2:2 **II ტური.** საქართველო – საფრანგეთი 1:1 (ჭეჭელაშვილი; ლემარიძ, გერმანია – ისლანდია 1:0 (შტენდერიძ.

**სატურნირო მდგომარეობა:** გერმანია – 6, საფრანგეთი – 2, ისლანდია, საქართველო – 1-1 ქულა.

**10 მაისს ითამაშებენ:** საქართველო – ისლანდია (ამ მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი 21 საათიდან და 30 წუთიდან შემოგვთავაზებსძ, გერმანია – საფრანგეთი.

შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში აღნიშნული კვარტეტიდან ორი საუკეთესო გუნდი გავა.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# მედლების მაძიებელნი



**გაირკვა სუპერლიგის უკანასკნელი ნახევარფინალისტის ვინაობა. ესაა „ქუთაისი“, რომელმაც დამატებითი მატჩი თსუ-ს 81:65 მოუგო და სერიაში 2:1 გაიმარჯვა.**

ასე რომ, დღეს, 10, 12 და, საჭიროების შემთხვევაში 13 და 15 მაისს მორიგ პლეი-ოფში 3 მოგებამდე ერთმანეთს შეხვდებიან **„არმია“ – „სოხუმი“ და „ქუთაისი“ – „ოლიმპი“.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

ხელბურთი

# „კორიდამ“ ქომაგები მოხიბლა



**თბილისი აქედანვე ინტენსიურად ემზადება 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის სამასპინძლოდ – როგორც სპორტული ბაზების კეთილმოწყობის, ისე კონკურენტუნარიანი გუნდების შექმნის თვალსაზრისით.** ფესტივალის პროგრამაში ხელბურთიც იქნება. ჯერ კიდევ შარშან ჩამოყალიბდა 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა 16 გუნდი. დაძაბული პაექრობის შემდეგ ამ ასაკში ეროვნული პირველობის ფინალში გავიდნენ თბილისის „კორიდა“ და „მერანი“. სპორტკომპლექს „არენაში“ გადამწყვეტი პაექრობა „კორიდამ“ უკეთ წარმართა, 26:19 გაიმარჯვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მე-3 ადგილისთვის „ზუგდიდი“ და თბილისის „პეგასი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. წარმატება (25:19ძ და ბრინჯაოს მედალი „პეგასს“ ერგო.

**ლაშა დიდია**

ჩოგბურთი

# ტატიშვილის რეკორდი

**უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ჩოგბურთელ ქალთა 220-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალში თბილისელმა ანა ტატიშვილმა, როგორც გაუწყეთ, მსოფლიო კლასიფიკაციით 57-ე ადგილზე მყოფი კანადელი ალექსანდრა ვოზნიაკი დაამარცხა და მსგავსი ტურნირის ნახევარფინალში პირველად გავიდა.** იქ კი ასპარეზობის ფავორიტს, იტალიელ სარა ერანის (27-ეძ ველარ გასცდა, ამის მიუხედავად, 130 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა და მსოფლიო კლასიფიკაციაში 12 საფეხურით წინ წაიწია. ახლა ჩვენებური 69-ეა (ეს ანას პირადი რეკორდიაძ და ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად ერთი ასეთი წარმატებული ტურნირიც ეყოფა.



მძლეოსნობა

# ბარსელონის საგზური ალმათიში მოიპოვეს

**წლეულს ივლისში კატალონიის დედაქალაქი ბარსელონა ახალგაზრდა მძლეოსანთა მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაზე ორი ქართველიც მოსინჯავს ძალებს.** ესენი არიან სამხტომელები – ლაშა ღულელაური და თათია პაიკიძე. ამას წინათ მათ ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმათის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. ღულელაურმა ერთ-ერთ ცდაზე 16,35 მეტრი დაძლია და ვერცხლის მედალი დაიმსახურა, პაიკიძემ 12,97 მეტრით მესამე ადგილი დაიკავა. ორივე ჩვენებურმა ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო სალიცენზიო ნორმატივი შეასრულა.



რეგიონი

# ნაკრების წევრებმაც იასპარეზეს

**წლეულს მაისის ბოლო დეკადაში თბილისი საქართველოს მძლეოსანთა ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ქვეყნის ყველა რეგიონში.**

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მძლეოსნობის ფედერაციის (პრეზიდენტი **რევაზ ბუკიაძ** ინიციატივით ჯვარში წალენჯიხის გამგეობისა და საკრებულოს თანადგომით აქაურ მძლეოსანთა პირველობა ჩატარდა, რომელშიც მხარის რვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეჯიბრების სიმძაფრე იმანაც განაპირობა, რომ კვარცხლბეკზე ასასვლელად საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების წევრებიც იბრძოდნენ. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**ქალები. 100 მ.** 1. თამარ ჯალალონია (ფოთიძ, 2. მარიამ ჩხენკელი, 3. თათია ფარულავა (ორივე – ხობიძ. **200 მ.** 1. თამარ ჯალალონია, 2. მარიამ ჩხენკელი, 3. ელისო დანელია (მარტვილიძ. **400 მ.** 1. თეა ფაცურია, 2. ეკა კაკულია (ორივე – ფოთიძ, 3. ნანი სარალიძე (ხობიძ. **800 მ.** 1. ეკა კაკულია, 2. მარი ჭანტურია (მარტვილიძ, 3. ანა სანაია (წალენჯიხაძ. **სიგრძეზე ხტომა.** 1. ლიკა ბიგვავა, 2. მეგი ლატარია (ორივე – ზუგდიდიძ, 3. ანა ახალაია (ფოთიძ. **ესტაფეტა 4X100.** 1. ფოთი, 2. ხობი, 3. წალენჯიხა. **ბირთვი.** 1. ნათია ნაჭყებია, 2. სალომე კილასონია (ორივე – ფოთიძ, 3. ნატა სანაია (წალენჯიხაძ. **შუბი.** 1. თეა ფაცურია (ფოთიძ, 2. მარიამ ჩხენკელი (ხობიძ, 3. ნატა სანაია (წალენჯიხაძ. **ბადრო.** 1. ნათია ნაჭყებია (ფოთიძ, 2. ნატა სანაია (წალენჯიხაძ, 3. სალომე კილასონია (ფოთიძ.

**ვაჟები. 100 მ.** 1. ვაჟა ძაგანია (ფოთიძ, 2. ლევან ფიფია (ზუგდიდიძ, 3. გიგა ჟვანია (ფოთიძ. **200 მ.** 1. ლევან ფიფია, 2. გოგა მიქაია (ჩხოროწყუძ, 3. გიორგი ჟვანია (ფოთიძ. **400 მ.** 1. ვაჟა ძაგანია (ფოთიძ, 2. ზურაბ ლაბარტყავა (აბაშაძ, 3. აკაკი გოგუა (ჩხოროწყუძ. **800 მ.** 1. ჯეირან ხოფერია (ფოთიძ, 2. ჯიმშერ ბუკია (ხობი, ზუგდიდიძ, 3. ნუგზარ ყალიჩავა (ჩხოროწყუძ. **1500 მ.** 1. ჯეირან ხოფერია, 2. ჯიმშერ ბუკია, 3. რევაზ დაკარგულია (ზუგდიდიძ. **ესტაფეტა 4X100 მ.** 1. ზუგდიდი, 2. ხობი, 3. ჩხოროწყუ. **სიგრძეზე ხტომა.** 1. გიორგი რურუა (მარტვილიძ, 2. ზურაბ ბაგრატია (აბაშაძ, 3. ლევან ფიფია (ზუგდიდიძ. **ბირთვი.** 1. დავით შონია (ფოთიძ, 2. კახა მორგოშია (ზუგდიდიძ, 3. გიორგი რურუა (მარტვილიძ. **შუბი.** 1. დავით შონია, 2. კახა მორგოშია, 3. ლერი კორტავა (ხობიძ.

**გუნდური.** 1. ფოთი (115ძ, 2. ზუგდიდი (99ძ, 3. ჩხოროწყუ (80 ქულაძ.

**გივი გაგუა**

64 უჯრა

# VIII. ორი მხედარი

**ბახტრიონის ქუჩის დასაწყისი და, რაც მთავარია, ბუკიას ბაღი, ჭადრაკის მოყვარულთა თავშეყრის ადგილადაა ცნობილი...**

**აქ ხვდებიან ერთმანეთს სხვადასხვა ასაკის, სპეციალობის, ეროვნებისა და მსოფლმხედველობის მოქალაქენი.**

ხვდებიან, რათა ე. წ. „სეფა“ ჭადრაკის დაფებით დახაზულ მაგიდასთან დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თავშეყრის ძველ „ბინადარს“, კვალიფიციურ მოჭადრაკეს ბ-ნ იური სუთიძეს გავესაუბრე. შევეკითხე მსუბუქ ფიგურათა შორის როგორ აფასებს მხედრებს. ორი მხედარი პრაქტიკულად შამათს რომ ვერ აკეთებს (ორი კუსაგან განსხვავებითძ, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ სასურველ პოზიციაში „ანგრევს“ მეტოქეს და საილუსტრაციოდ დაფაზე აწყობს სახელოვანი ქართველი მოჭადრაკის მ. ტოგონიძის (თეთრებიძ პარტიის დაბოლოებას ბილეკთან.

**ტოგონიძე – ბილეკი**
**1960**



1. ეh8+! – ბ:h8 2. მe6+ – მფg8
3. მh6X

აქვე გვინდა შევახსენოთ ჩვენს ბიზნესმენებს, ეგებ გამოიჩინონ კეთილი ნება და ქალაქის მერიის ხელშეწყობით აქ ააშენონ ჭადრაკის სახლი, სადაც, სულმნათი ფიროსმანისა არ იყოს, სამოვარიც დაიდგმება, ჭადრაკსაც ითამაშებენ და აზრებსაც გაუზიარებენ ერთმანეთს.

მით უმეტეს, რომ თბილისი ამ მხრივ ევროპის ქალაქების მსგავსად არ არის განებივრებული.

მოამზადა
**თამაზ შენგელია**

ცურვა



# სალიცენზიო ნორმატივს მიუახლოვდა

**ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე ორთვენახევარზე ცოტა მეტი რჩება, საგზურების მოსაპოვებლად კი სალიცენზიო ტურნირების რაოდენობა მცირდება. ამ დღეებში ერთ ასეთ შეჯიბრებას ხარკოვი მასპინძლობს. უკრაინის თასზე მოცურავეები ეცილებიან ერთმანეთს პირველობას. მოასპარეზეთა შორის ქართველებიც არიან. აპრილის მიწურულს ბელარუსის ღია პირველობაზე 17 წლის ირაკლი ბოლქვაძემ ბრასით 200 მეტრი 2.17,91-ში გაცურა და საქართველოს რეკორდი დაამყარა. ახალგაზრდა სპორტსმენმა ხარკოვში ეს შედეგი გააუმჯობესა – დისტანციის დაფარვას 2.17,17 მოანდომა და ბრინჯაოს მედალიც დაიმსახურა. გულსატკენი ის არის, რომ ირაკლის ლონდონის ლიცენზიის მოსაპოვებლად 0,82 წამი არ ეყო. ვფიქრობთ, მას ამ ხარვეზის გამოსწორება დებრეცენში (უნგრეთი) 21-27 მაისს ევროპის ჩემპიონატზე შეუძლია.**

ბოლქვაძემ წარმატებით იასპარეზა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაშიც – 4 წუთითა და 29,92 წამით მან მეორე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ამ დისტანციაზე სალიცენზიო ნორმატივის (4.25,44ძ შესასრულებლად მეტი გარჯა მოუწევს, ვიდრე ბრასში. თუმცა, დაუძლეველი არც ეს უნდა ჩანდეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 400 მეტრზე კომპლექსში წინასწარი გაცურვისას ნაჩვენები შედეგი 2,68 წამით გააუმჯობესა.

ხარკოვის საცურაო აუზში ძალებს ცდიდა თავისუფალი ყაიდით პეკინის ოლიმპიადის მონაწილე ირაკლი რევიშვილიც. იგი 200 მეტრზე (2.53,07ძ მეექვსე იყო, ხოლო 100 მეტრზე (52,63ძ მე-16 ადგილი დაიკავა.

**ლექსო ცინცაძე**

დედაქალაქი



# ძველი ბაზრის ახალი სიცოცხლე

**წინამძღვრიშვილის ქუჩაზე აგრარული ბაზარი, რომელიც წლების მანძილზე „დეზერტირების ბაზრად“ იყო ცნობილი, ცოტა ხანში მომხმარებელსა და მოვაჭრეებს ახალი სახით წარუდგება.**

რამდენიმე წლის წინათ დანგრეული ძველი შენობის ადგილზე ამჟამად ახალი აგრარული სავაჭრო ცენტრის მშენებლობა დაიწყო. ახალი ბაზრის შენობას, რომელიც ძველივით ორსართულიანი იქნება, შპს „პრიზმის“ მშენებლები თბილისის მერიის შპს „არქ ქრიატონის“ არქიტექტორთა პროექტით ააგებენ. ვიდრე ახალი ბაზარი ამოქმედდება, მოვაჭრეთა ნაწილი ნინოშვილის ქუჩაზე ბაზრის ტერიტორიაზე გადაბარგდა, ზოგიც ბორჯომის ვაგზლის მიმდებარედ განთავსდა, ნაწილი კი მოპირდაპირე მხარეს ყიდის თავის საქონელს.

ირმა ირემაშვილი

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



## არბიტრაჟის უწყება (შეტყობინება)
## საქმე №7-2012

შპს „სი ემ სის“ ს/კ 205240666, თბილისი, ხორავას ქ. №4ა და შპს „აი-ეს-პი ფაუნდეიშენს“ ს/კ 204508960, თბილისი, ამაღლების ქ. №29 გიბარებთ მოპასუხის სახით **საარბიტრაჟო სხდომაზე 2012 წლის 1 ივნისს, 15.00 საათზე**, საქმეზე **ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“** საარბიტრაჟო სარჩელის გამო **შპს „სი ემ სის“ და სხვათა** მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №106.**

**გამოუცხადებლობის შედეგები:**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

## განცხადება

**2012 წლის 12 მაისს, შაბათს, 12 საათზე მოწვეულია ქ. თბილისში, ამაღლების ქ. №12-ში არსებული საცხოვრებელი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დამფუძნებელი კრება. განხილული იქნება ამხანაგობის დაფუძნებასთან და ამხანაგობის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საკითხები. კრება შედგება ამაღლების ქ. №12-ში, ბ. №1.**

**მესაკუთრეთა დასწრება სავალდებულოა.**

საინიციატივო ჯგუფი

**აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწყება ღვაწლმოსილი სამეურნეო მუშაკის**

**რევაზ (რეზო) მაკალათიას**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

ხელოვნება

# იგი საქართველოს დააკლდა



გარდაიცვალა თვალსაჩინო, შესანიშნავი პიროვნება – ბატონი **გეიდარ ფალავანდიშვილი**. საქართველოში მას კინოეკრანიდან იცნობდნენ, მაგრამ ბევრმა შესაძლებელია არ იცოდეს, რომ იგი იყო ბრწყინვალე სპეციალისტი, დამსახურებული მშენებელი – საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი. წლების მანძილზე იყო „საქწყალპროექტის“ დირექტორი. მისი პროექტებით უამრავი სასიკეთო რამ გაკეთდა საქართველოში. უყვარდა თავისი ქვეყანა და ემსახურა ღირსებით. რაც შეეხება კინოხელოვნებას, მის მიერ შექმნილი თითქმის ყველა პერსონაჟი ღირსების მატარებელი სახეებია. საკმარისია გავიხსენოთ „მთვარის მოტაცებიდან“ თარაშ ემხვარი. გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოების მიხედვით გადაღებულ ფილმში „ალავერდობა“ მან შთამბეჭდავი, დაუვიწყარი სახე შექმნა, სადაც გმირის თვისება და ხასიათი თავად ბატონ გეიდარის ბუნებასა და თვისებებს გვაგონებს. ცხოვრებაში მისი დინჯი, მშვიდობიანი ხასიათი შმაგი და შეუპოვარი ხდებოდა, როცა უხამსობასა და უზნეობას წააწყდებოდა. იგი ჭეშმარიტად თბილისელი მოქალაქე იყო. დასანანია, ასეთი ქმედითი ადამიანის ასე უდროოდ წასვლა ჩვენგან. იგი დააკლდა საქართველოს და ქართველ საზოგადოებას.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სინანულს გამოხატავს გეიდარ ფალავანდიშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

მერაბ ბერძენიშვილი

# გეიდარ ფალავანდიშვილი

გიორგობა დღეს, 6 მაისს, ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ქართული საინჟინრო ხელოვნების ღირსეული წარმომადგენელი, ბრწყინვალე სპეციალისტი, მეუღლე, მამა, პაპა და მეგობარი – **გეიდარ (გიორგი) ფალავანდიშვილი**.



საქართველოს დამსახურებული მშენებელი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა და საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი – გეიდარ ფალავანდიშვილი, ქართველ ჰიდრომშენებელთა სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი, რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი საპროექტო ორგანიზაციის „საქწყალპროექტის“ გენერალური დირექტორი, დაიბადა 1937 წლის 1 ივლისს, ქ. თბილისში, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ფალავანდიშვილის ოჯახში.

გეიდარ ფალავანდიშვილმა 1955 წელს დაამთავრა თბილისის №1 ვაჟთა საშუალო სკოლა, 1963 წელს – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაციით. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე შრომითი საქმიანობა დაიწყო საპროექტო ინსტიტუტ „ჰიდროპროექტში“. აღნიშნულ ინსტიტუტში, იგი წლების მანძილზე მონაწილეობდა რესპუბლიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ობიექტების პროექტირებაში.

1970 წლიდან იგი მუშაობას იწყებს საპროექტო ინსტიტუტ „საქწყალპროექტში“ ჯგუფის ხელმძღვანელად, შემდგომ მას აწინაურებენ განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 1980 წელს გ. ფალავანდიშვილი „საქწყალპროექტის“ დირექტორის თანამდებობაზე ინიშნება. 1982, 1984 და 1989 წლებში იგი ხელმძღვანელობდა წყალსამეურნეო ობიექტების დაპროექტებას სირიის არაბთა რესპუბლიკაში.

1990 წლიდან დღემდე, ბატონი გეიდარ ფალავანდიშვილი მუშაობდა სააქციო საზოგადოება „საქწყალპროექტის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. ამ ხნის მანძილზე იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოს რესპუბლიკის მელიორაციული და წყალსამეურნეო რესურსების გამოყენების სქემების დამუშავებას და პროექტირებას.

მისი მოღვაწეობა და საქმიანობა აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით.

ბატონ გეიდარს დიდი ამაგი მიუძღვის ქართული კინოხელოვნების განვითარებაშიც. იგი მთავარ როლებს ასრულებდა კინოფილმებში „ალავერდობა“, „ჯვარცმული კუნძული“, „ვედრება“, „ფერიცვალება“, „მთვარის მოტაცება“. მაყურებელი მოხიბლა მისი როლების ბუნებრიობამ და ბრწყინვალე შესრულებამ.

ბატონი გეიდარი, ხალხისათვის უსაყვარლესი, შესანიშნავი თვისებების ადამიანი, სამაგალითო ცხოვრებით ცხოვრობდა. ვერავის შეხვდებოდით, ვისაც გეიდარი არ უყვარდა. კინოროლებიდან გამომდინარე, იცნობდნენ გეიდარს თუ არა, მას აღიქვამდნენ როგორც ჩვენი ქვეყნის პატრიოტს. მისი სახე და სახელი საზოგადოებისათვის დაუვიწყარია.

დიდებული პიროვნება, გეიდარ ფალავანდიშვილი, რომელმაც ქართულ საზოგადოებას ფილმიდან „ალავერდობა“, ტაძრის სამრეკლოდან ზეცნობიერი, მრავლისმეტყველი მზერით დაამახსოვრა თავი, ახლა ზეციური საქართველოდან ლოცავს ქვეყანას, რომელსაც ცხოვრებაში ღირსეულად ემსახურა.

სააქციო საზოგადოება „საქწყალპროექტი“

**მეუღლე მარინე რჩეულიშვილი, შვილები გურამი, ნინო, რძალი ელენე ბაქრაძე, სიძე ვახტანგ ბუღაძე, შვილიშვილები მარიამი, ალექსანდრე, ნინო, გიორგი, თეკლა, ლუკა, შვილთაშვილები ალექსანდრე, იოანე, ელენე, იოანე, კონსტანტინე იუწყებიან**

**გეიდარ (გიორგი) ფალავანდიშვილის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 V, 17 სთ. მისამართი: ამაღლების ქ. №4. გამოსვენება 10 V, 15 სთ. ჭონქაძის ქუჩაზე მდებარე წმინდა ტვერელის ეკლესიიდან.**



**ეთერ, ნუნუ, ნაზი, სერგო იმნაიშვილები ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან მათი დიდი ოჯახის ამაგდარი რძლის და ყველასათვის საყვარელი პიროვნების**

**ნანული (ლია) გრიგოლის ასულ ელიავა-იმნაიშვილის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ შვილებს ქეთი, ერემია, ზურაბ იმნაიშვილებს და მათი ოჯახის წევრებს. პანაშვიდი 8, 9 V, 16 სთ. მუხიანის მე-4 ბ მიკრორაიონი, 35-ე კორპუსი, მე-6 სართული, ბინა 102, დაკრძალვა 10 V, 14 სთ. გამოსვენება საბურთალოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს კოლეგას და მეგობარს ნაზი იმნაიშვილს რძლის**

**ნანული (ლია) ელიავა-იმნაიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ დასის თავმჯდომარეს გოგი დოლიძეს გარდაეცვალა მეუღლე**

**მაყვალა მაისურაძე-დოლიძისა**

**და სამძიმარს უცხადებენ ბატონ გოგის, შვილებს ზვიადს და ჯარჯის ოჯახებით, უახლოეს ნათესავებს და მეგობრებს. გამოსვენება 10 V, 15 სთ. ბუდაპეშტის, 30.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ჩვენს ავტორსა და ერთგულ მეგობარს გოგი დოლიძეს ძვირფასი მეუღლის**

**მაყვალა მაისურაძე-დოლიძის**

**გარდაცვალების გამო.**

## კონკურსი




# შავკანიანი უკრაინელი, 75 წლის ენგელბერტ ჰამპერდინკი და სხვები

**მაისის მიწურულს ბაქოში რიგით 57-ე საერთაშორისო ფესტივალი „ევროვიზია-2012“ ჩატარდება, რომელშიც 42 ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. ნახევარფინალები 22 და 24 მაისს, ხოლო ფინალი 26 მაისს გაიმართება. სამივე კონცერტი საგანგებოდ ამ შოუსთვის აგებულ საკონცერტო კომპლექსში, ბაქოს სასახლე „კრისტალში“ მოეწყობა.**

60-იან წლებში ევროპის სამაუწყებლო კავშირმა მთელი კონტინენტისთვის ერთიანი მასობრივი სატელევიზიო პროგრამის შექმნის იდეა წამოაყენა. გადაწყდა, რომ „ევროვიზიის დიდი პრიზი“ — ასე ეწოდებოდა მაშინ კონკურსს — 1965 წლის გაზაფხულზე შვეიცარიის ქალაქ ლუგანოში გაიმართებოდა. ასე დაიწყო ამ სასიმღერო შოუს ისტორია.

შარშან ევროპის სამაუწყებლო კავშირმა მაყურებელთა კენჭისყრის ახალი წესი შემოიღო: **იმის გამო, რომ მაყურებელთა ნაწილი ხმას აძლევს მხოლოდ კონცერტის დამთავრების შემდეგ, მსახიობის გამოსვლის დროს ციფრიანი ფანჯარა ყურადღებას ფანტავს, რადგან ტელეეკრანის მეოთხედს იკავებს, ამიტომ წლეულს „სატელევიზიო ხმის მიცემის ფანჯარა“ მხოლოდ ბოლო სიმღერის დასრულების შემდეგ გაჩნდება.** დანარჩენი ყველაფერი ძველებურად დარჩება. ფინალში მონაწილეობის მიღების უფლებას მხოლოდ 26 ქვეყანა მიიღებს: „დიდი ხუთეული“ — გერმანია, ესპანეთი, ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია, შარშანდელი გამარჯვებული აზერბაიჯანი და ოცი სხვა ქვეყანა, რომელიც თითოეულ ნახევარფინალში პირველ ათ ადგილს დაიკავებს.

ხმის მიცემის სისტემა 50/50-ზე, ანუ ჟიურისა და მაყურებელთა ნების გამოხატვის ამ პროპორციით შეზავებაა.

წლეულს საქართველოდან „ევროვიზია 2012“-ში მონაწილეობას მიიღებს ანრი ჯოხაძე სიმღერით „I'm Jaker“, რომელიც ნახევარფინალების მეორე დღეს, 24 მაისს მე-12 ნომრად იმღერებს.

სამწუხაროა, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაძაბული ურთიერთობის გამო კონკურსში ამ უკანასკნელის წარმომადგენელი მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან სომხეთის ეროვნულმა ტელევიზიამ თავისი შემსრულებლის დელეგირებაზე უარი განაცხადა. რამდენიმე დღის წინათ კი ცნობილი გახდა, რომ ევროვიზიამ სომხეთის ეროვნული ტელევიზია გააფრთხილა, რომ ბაქოს კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმას მის მიმართ საჯარიმო სანქციები მოჰყვება, რაც სოლიდური ფულადი ჯარიმის დაკისრებას ითვალისწინებს. მეტიც: შესაძლოა სომხეთის წარმომადგენელი გაისად კონკურს „ევროვიზია 2013“-ში მონაწილეობის მისაღებად არ დაუშვან. ბაქოში ასევე გამოვლენ **სერბეთის, მაკედონიის, ჰოლანდიის, მალტის, ბელარუსის, პორტუგალიის, უკრაინის, ბულგარეთის, სლოვენიის, ხორვატიის, შვედეთის, თურქეთის, ესტონეთის, სლოვაკეთის, ნორვეგიის, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის წარმომადგენლები.**




საგულისხმოა, რომ „ევროვიზია 2012“-ზე უკრაინას ეროვნული კონკურსის გამარჯვებული... შავკანიანი მომღერალი გაიტანა ესამი წარმოადგენს, რომლის დედა უკრაინელია, მამა კი კონგოელი. არჩევანის გაიტანაზე შეჩერება ხალხმა არაერთგვაროვნად მიიღო იმ მოტივით, რომ იგი „არასაკმარისად უკრაინელია“ ქვეყნის ევროპულ კონკურსზე წარსადგენად, მაგრამ ბოლოს ვნებათაღელვა მაინც დაცხრა.

წლევანდელი კონკურსის ერთ-ერთი განსაკუთრებული, გამორჩეული ნიშანი ასევე ისაა, რომ ბევრმა ქვეყანამ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკმაოდ სოლიდური ასაკის შემსრულებელი შეარჩია. საქმე ისაა, რომ **ევროკავშირმა 2012 წელი დაბერებისა და თაობებს შორის სოლიდარობის ევროპულ წლად გამოაცხადა.** ამიტომ, ალბათ, არც არის გასაკვირი, რომ, მაგალითად, რუსეთს „ევროვიზია 2012“-ზე წარმოადგენს ანსამბლი „ბურანოველი ბებოები“ უდმურტიიდან, რომელთა საშუალო ასაკი 70 წელია, დიდი ბრიტანეთის ღირსებას კი 75 წლის ლეგენდარული მომღერალი ენგელბერტ ჰამპერდინკი დაიცავს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ნომრის კარიკატურა



— ბრმა, ყრუ და სულელი ვიყავი, შენ რომ გამოგყევი ცოლად...

— ხედავ, რამდენი სენისგან განიკურნე ჩემი წყალობით, საყვარელო...

ამირან ერაძის ნახატი.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

## განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 11 მაისს**

## ანეკდოტები

— **ექიმო** ბაბუაჩემი ველარ შარდავს და უშველით რამეს?

— რამდენი წლისაა?

— 86.

— გოუთავდა, ალბათ!!

* * *

— **მამიკო**, სულ „უფულობა, უფულობა“ რომ მესმის, რას ნიშნავს უფულობა?

— ოო, შვილოო... ფული — ეს ბევრი რამეა: ეს შამპანურებია, მაგარი მანქანები, ქალები...

— უფულობა?

— უფულობა — ლუდია, ტროლეიბუსია და... დედაშენია...

* * *

**სამედიცინო** უნივერსიტეტში გამოცდებია. სტუდენტებმა ხელი უნდა ჩაყონ ყუთში, რომელშიც ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილი ყრია და ამოუღებლად უნდა გამოიცნონ თუ რომელი სხეულის ნაწილი მოხვდათ ხელში და შემდეგ კომისიას ანახონ.

გამოცდაზე გამოდის გოგონა და ხელს ყოფს საგამოცდო ყუთში, იშმუშნება და ამბობს:



— ძეხვია, — პატივცემულო...

გამომცდელებს გაეღიმათ:

— ნუ გრცხვენია გოგონი, გვითხარი ნამდვილი სახელი...

— ძეხვი...

— ნუ გრცხვენია , ვიცით, რაც არის, მაგრამ სახელი გვითხარი ნუ გერიდება, თამამად...

— ძეხვია, პატივცემულო, ძეხვი..

— კარგით , ამოიღეთ ეგ ძეხვი!

გოგონამ ყუთიდან ძეხვი ამოიღოო...

გაოგნებულმა გამომცდელებმა ერთმანეთს გადახედეს :

— აბა, ჩვენ შესვენებაზე რა ვჭამეთ ?!.

* * *

**ქალს** სახეზე პლასტიკური ოპერაცია სჭირდებოდა, მაგრამ ცუდი კანი ჰქონდა და კანი ქმრის უკანალიდან გადაუნერგეს. ოპერაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა.

— ძვირფასო, არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა იმისთვის, რაც ჩემთვის გააკეთე! — ეუბნება ცოლი რამდენიმე დღის შემდეგ.

— არ იდარდო, ჩემო კარგო, ყოველთვის დიდ სიამოვნებას განვიცდი, როცა დედაშენი გკოცნის ხოლმე...

* * *

**კარზე** ზარია:

— გამარჯობა! მე თქვენი მეზობელი ვარ.

— ზევიდან თუ ქვევიდან?

— რა... ეგრე პირდაპირ?

* * *

— **მამიიი**, — ეკითხება პატარა კახელი მამას, -რით განსხვავდება ქალი ვირისგან?

— ვირს გააჩნია, ჯო!

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24